ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ახალი და უახლესი ისტორია

შარაძე სალომე

დასავლეთის გავლენა ომის შემდგომ იაპონიაზე

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ქბ. სოფიო გუგუნავა

თბილისი

2019

ანოტაცია

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში ვითარება დრამატულად ვითარდება. გამარჯვებაში დარწმუნებული სახელმწიფოს ბედი სულ სხვანაირად ტრიალდება. ატომური აფეთქება ყველაფერს ცვლის და ამონებს სამურაული სულისკვეთებით გამსჭვალულ და ღვთაებრივი წარმომავლობის მქონე იმპერატორის მიერ მართულ იმპერიას. არსებობის განმავლობაში პირველად, იაპონია ექცევა გარეშე ძალის გავლენის ქვეშ. თუმცა ოკუპაცია დიდხანს არ გრძელდება და ძალზედ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოაქვს იაპონიაში, რაც მის შემდგომ განვითარებაზე განუზომელ გავლენას ახდენს. საინტერესოა იმპერიის ომში დაცემის, თუმცა დაპყრობის შემდგომ აღზევების უნიკალური მოვლენის შესწავლა. მტრების მოკავშირეებად და კვლავ დაძაბული ურთიერთობების მქონე პარტნიორებად გადაქცევის მიზეზების გამოკვლევა. დასავლური გავლენა, უფრო კონკრეტულად ამერიკული გავლენა იაპონიაზე სახარბიელო შედეგს გვაძლევს, რადგან ამერიკასაც ოდითგანვე ამოძრავებს სავაჭრო და ჰეგემონიური მიზნები აზიის რეგიონში და არ სურს ხელიდან გაუშვას მნიშვნელოვანი პარტნიორის შეძენის შესაძლებლობა. ჩვენი ამოცანაა შევისწავლოთ კონკრეტულად რა გავლენა მოახდინა ამერიკამ იაპონიაზე და რა იყო ამის მიზეზები. ვფიქრობ თემა საკმაოდ აქტუალურია, ვინაიდან ეხება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, რომელთა ნაბიჯები შეიძლება მაგალითი იყოს განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნებისთვის. ქართულ სამეცნიერო სივრცეში კი სულ უფრო პოპულარული ხდება შორეული აღმოსავლეთის საკითხები რეგიონში სწრაფი და ბევრისთვის ამოუხსნელი ეკონომიკური ცვლილებებით. ვფიქრობ განსახილველი თემა ახალია ქართული სივრცისთვის და იგი ხელს შეუწყობს საკითხს უფრო სიღრმისეულ შესწავლას.

Abstract

Following the World War II, a dramatic situation unfolds in Japan. The fate of a nation confident in its victory takes an unexpected turn. An atomic explosion changes everything and turns people filled with samurai spirit, who follow the emperor of divine origin into slaves. For the first time in its existence, Japan falls under the influence of an external power. The occupation, however, does not last long and brings very important changes to Japan, which have an immeasurable effect on its future development. The phenomenon of the nation's fall and its consecutive rise is an interesting subject for study, as well the matter of enemies becoming allies and then partners with heated relationships. Western influence, namely American, ended up having a beneficial impact on Japan, since USA has been aiming for trading hegemony in the Asian region and did not wish to miss the opportunity of gaining a powerful partner. My aim is to determine what sort of influence did USA have on Japan and why exactly it was exerted. I think the topic is quite relevant, since it relates to leading countries whose past steps may be a good example for developing countries. As for Georgian academic society, the topics related to Far East countries are gaining a lot of popularity due to rapid (and for many people unexplained) economic changes. I think the topic at hand is still new for Georgia and it will help the future in-depth studies.

შინაარსი

შესავალი 5

თავი I. მეორე მსოფლიო ომის დასასრული და ამერიკული ოკუპაცია 8

1.1 ამერიკის ინტერესები იაპონიაში 10

1.2 პოტსდამის დეკლარაცია 13

1.3 იმპერატორი და მისი როლის მნიშვნელობა 16

თავი II. რეფორმები და ეკონომიკური განვითარება ომის შემდგომ იაპონიაში 21

2.1 მიწის რეფორმა 25

2.2. ეკონომიკა 27

თავი III. იოშიდა შიგერუს შეხედულებები ამერიკულ კურსთან დაკავშირებით 30

თავი IV. ქალთა უფლებები 35

თავი V. ამერიკული ოკუპაციის მიერ გატარებული ცვლილებების შედეგები 43

5.1. იაპონია დღეს 45

დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა 49

შესავალი

კვლევის საგანი და აქტუალობა. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს დასავლეთის გავლენა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იაპონიაზე. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა იაპონიაში ოკუპაციის წლებში ამერიკის მიერ გატარებულ რეფორმებს. რეფორმებსა და კონსტიტუციის მიღებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული იაპონიის სამომავლო განვითარება, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო. იაპონია ომის ფერფლიდან ფენიქსივით აღდგა და განვითარებული ქვეყნების რიგში კვლავ ამაყად დგას. ამის მთავარი მიზეზი კი არანაკლებ მნიშვნელოვანი და ძლიერი სახელმწიფოს ჩარევა გახდა, რაც შემდგომში მცირე დაძაბულობით შეფერილ სამოკავშირეო ურთიერთობებში გადაიზარდა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ქალთა უფლებების წინ წამოწევაზეც, სადაც დასავლური გავლენა მეტწილად მხოლოდ ფურცელზე დარჩა. ყოველივე ამან კი განაპირობა ისტორიკოსთა თუ მკვლევართა დაინტერესება წამყვანი სახელმწიფოების ურთიერთობითა და ზემოქმედებით. ინტერესი, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო ღრმავდება, ვინაიდან თანამედროვე პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად იცვლება არა მხოლოდ აზიის რეგიონში, არამედ გლობალურ დონეზე. თუმცა, საკითხი ჯერ კიდევ საჭიროებს უფრო ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას, გამომდინარე მის მიმართ არსებული წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებისა, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ეს საკითხი კიდევ დიდხანს დარჩება მკვლევართა ინტერესის სფეროში.

კვლევის მოკლე მიმოხილვა. ნაშრომში განხილულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იაპონიის მდგომარეობა ამერიკული ოკუპაციის პერიოდში. ამერიკის მიერ განხორციელებული ცვლილებები და ამ ცვლილებების შედეგები. აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ნაბიჯების შესაძლო მიზეზები. „მხსნელად“ მოვლენილი ამერიკა იაპონიას დახმარებას უწევს, ცდილობს დემოკრატიული ტენდეციები კვლავ გააღვივოს, რომელნიც სათავეს ჯერ კიდევ მეიჯის ხანასა და ტაიშოს პეროდში იღებენ. განხილულია იმპერატორის როლი, როგორც

ოკუპაციის, ისე თანამედროვე პერიოდში. ქალებისთვის თანასწორი უფლებების მინიჭება, ცვლილებები იაპონიის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ორი სიტყვით შევეხებით თანამედროვე იაპონიის მდგომარეობასაც, რომლისგანაც მრავალ სიახლეს უნდა მოველოდოთ იმპერატორის ცვლილებისა და არასასურველი ეკონომიკური ძვრებიდან გამომდინარე.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იაპონიაში ამერიკის მიერ გატარებული ცვლილებების გადმოცემა და მათი ანალიზი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ამერიკის ჭეშმარიტი მიზნებისა და მისწრაფებების დადგენა იაპონიაში განხორციელებული ძვრების მიმართ. ასევე, ნაშრომის მიზანია, დადგინდეს, რამდენად დიდი გავლენა მოახდინა ოკუპაციის პერიოდში განხორციელებულმა ცვლილებებმა იაპონიაზე და რა შედეგები აქვს მას დღევანდელ დღეს იაპონიის როგორც შიდა, ისე საგარეო პოლიტიკაზე.

კვლევისას გამოყენებული მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანთან დაკავშირებულ წყაროთა შესწავლა, სხვადასხვა მკვლევარების მიერ გამოხატული მოსაზრებები და ანალიზი, პროცესებში უშუალოდ მონაწილე პიროვნებების ინტერვიუები და ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ ცვლილებების მნიშვნელობა და ორი დაპირისპირებული თუ მოკავშირე მხარის დამოკიდებულება განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, საკითხი საინტერესო უნდა იყოს მსოფლიო პროცესებში ჩაბმული ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რადგან წამყვანი ქვეყნების ურთიერთობის მაგალითზე შეიძლება სამომავლოდ სამოქმედო სტრატეგიების შემუშავება. ნაშრომში განხილულია თემის ირგვლის არსებული მნიშვნელოვანი საკითხები.

მეცნიერული სიახლე. ნაშრომში განხილულია ორი მეტად საინტერესო სახელმწიფოს მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები. ვცდილობთ დავადგინოთ დასავლური გავლენის შედეგები იაპონიაზე და მათი ავკარგიანობაც. გადმოვცემთ

თანამედროვე მდგომარეობასაც. ვფიქრობ ნაშრომი საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს ქართული სივრცისთვის, რადგან ყველასათვის განსაცვიფრებელ, მაგრამ ნაკლებ გამოკვლეულ შორეულ აღმოსავლეთს განვიხილავთ.

წყაროთმცოდნეობითი ბაზა. საკითხის კვლევისას გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მკვლევარების ესსეები, როგორც ევროპელი თუ ამერიკელი, ასევე იაპონელი მეცნიერების შეხედულებები, რაც ორივე მხარის დამოკიდებულების და საკითხის უფრო ობიექტურად გააზრების საშუალებას გვაძლევს. რეფორმებში მონაწილე პიროვნებების ინტერვიუები და ვიდეომასალა უშუალო წარმოდგენას გვიქმნის არსებულ მდგომარეობაზე, რაც კიდევ უფრო აადვილებს პრობლემის გააზრებას. იაპონური მთავრობის დამოკიდებულების განსაზღვრაში ცვლილებების განხორციელებისას დაგვეხმარა იოშიდა შიგერუს ავტობიოგრაფიული თხზულება „იოშიდას მემუარები“. ამერიკული რეფორმების აღსაქმელად და ქალთა მოძრაობების გასაანალიზებლად დაგვეხმარა „იაპონური ტრადიციის წყაროები“ და „ომის შემდგომი იაპონია როგორც ისტორია“, აგრეთვე თანამედროვე მედია პორტალზე გამოქვეყნეული იაპონური სტატიები.

თავი I. მეორე მსოფლიო ომის დასასრული და ამერიკული ოკუპაცია

მეორე მსოფლიო ომი იაპონიისათვის სავალალო შედეგებით დასრულდა. ნაციამ, რომელსაც დიდი ამბიციები ჰქონდა, მარცხი განიცადა. ეს იყო სირცხვილი მთელი ერისთვის და ყოვლად წარმოუდგენელი გარემოება. თვითდაჯერებულობა სრული იმედგაცრუებით და შოკით შეიცვალა. იაპონიამ ვერ დაამტკიცა თავისი პრეტენზიების ჭეშმარიტება და სრულიად ჩვეულებრივ მოკვდავად წარმოგვიდგა. ისევე როგორც იაპონიის იმპერატორის გაქარწყლებული ღვთაებრივი წარმომავლობა. მისი ხმა პირველად სწორედ დამარცხების შემდეგ გაუღერდა. და გაუღერდა უბრალო რადიოთი. ეს იყო დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა სამურაის სულისკვეთებით გაუღენთილი და განდიდების მანიით შეპყრობილი ერისთვის. აღარაფერს ვამბობთ ფიზიკურ ზარალზე, რაც იაპონიამ განიცადა. სწორედ მისი დიდგულობის შედეგია, რომ იაპონია ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ატომური იარაღის სიმწარე იწვნია, თავისი განუზომელი გამანადგურებელი შედეგებით. ამდენად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონიის სულისკვეთება დაცემულია, მოსახლეობა გატეხელია სულიერად და ფიზიკურად. ბომბების ქარცეცხლში გახვეული ქალაქებიდან ფერფლიღა შემორჩა. ხალხი ბარაკებსა და ნარჩენებისგან აწყობილ ბუნაგებში ცხოვრობდა და ცდილობდა ყოველდღიურ შიმშილს გამკლავებოდა. ჰიროშიმასა და ნაგასაკიში კი ატომური აფეთქების შედეგებს ებრძოდნენ.

ასე რომ, დგას 1945 წლის სექტემბერი. ომი დასრულდა. ნაგასაკისა და ჰიროშიმაში გაუგონარი ტრაგედია დატრიალდა, რამაც შეიძლება ითქვას, გამოისყიდა ომისდროინდელი იაპონიის დანაშაულებრივი ქმედებები. იაპონიის მოსახლეობა, ისევე

როგორც მთავრობა, წელში გატეხილია და აღარ შესწევს წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამომავალი მზის ქვეყანა ნებდება და მოდის ახალი ძალა დასავლეთიდან, რომელიც იღებს სადავეებს იაპონიაში. ამ ძალას მოკავშირეთა ოკუპაციას უწოდებენ, მაგრამ უკეთესი იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს იყო ამერიკული ოკუპაცია. ამრიგად მტერი ხდება მმართველი და იწყება იაპონიის ამერიკანიზაცია. როგორც დამარცხებულ ქვეყანას, იაპონიას მრავალი სასჯელი უნდა დაკისრებოდა, მაგრამ ამერიკის წყალობით სასჯელი არ იყო ისეთი მძიმე. დასჯა შეიძლება ითქვას შეიცვალა იაპონიის აღდგენითი სამუშაოებით და მდგომარეობიდან გამოყვანით. სახელმწიფომ დაკარგა სუვერენიტეტი, დაწესდა რეპარაციებიც, მაგრამ ამერიკის წყალობით სასჯელმა ძალზე რბილად გადაიარა იაპონიაზე და უკუშედეგი გამოიღო. მალე იაპონია ეკონომიკურად ერთ-ერთ ძლიერ და მოწინავე სახელმწიფოდ გვევლინება.

ჩვენს კვლევაში შევეცდებით დავადგინოთ რა იყო ამერიკის ლმობიერების მიზეზი და სინამდვილეში რაში მდგომარეობდა მისი ინტერესები იაპონიაში. რა ნაბიჯები გადაიდგა და როგორ აისახა ეს ყველაფერი იაპონიაზე.

1.1 ამერიკის ინტერესები იაპონიაში

მეორე მსოფლიო ომამდე, როგორც პეფერი ამბობს[1] იაპონია საკმაოდ აგრესიულადაა განწყობილი და ომისკენ არის მიდრეკილი. ეს მოსაზრება მეტწილად დამკვიდრებულია მთელს ამრეკაში და ომის დასრულების ერთადერთ ნაბიჯად ატომური იარაღის გამოყენება მიაჩნიათ. დამოკიდებულება საკმაოდ შეიცვალა ტოკიოში გენერალ დუგლას მაკარტურის ჩასვლის შემდეგ, რომელმაც ინტერვიუში განაცხადა, რომ იაპონელები სრულიად შესაძლებელია მშვიდობის-მოყვარე ხალხად იქცნენ, რომ იაპონიამ ,,სულიერი რევოლუცია" განიცადა და აღარ წარმოადგენს საფრთხეს მეზობელი ქვეყნებისთვის[2]. რამ განაპირობა ამერიკის დამოკიდებულების ასეთი ცვლილება და მისი რბილი პოლიტიკა იაპონიაში ოკუპაციის პერიოდში? ამის მრავალი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. როგორც ჯორჯ კენანი ამბობს ,,საფრთხის ღრუბელში" (The Cloud of Danger) იაპონია ამერიკისთვის შორეული აზიის ქვაკუთხედს წარმოადგენდა გეოგრაფიული თუ გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. ასევე დიდ როლს თამაშობს იაპონიის უზარმაზარი ინდუსტრიული ძალა, რომელიც ყოველგვარ მიზანს შეიძლებოდა მოხმარებოდა. და რაც ყველზე საინტერესოა, კენანი მიზეზად ასახელებს მორალურ ვალდებულებასაც[3]. ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდა ატომური დესტრუქციით გამოწვეული უბედურების მონანიებას. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ამერიკას სურდა ჰყოლოდა მოკავშირე და მტკიცე დასაყრდენი შორეულ აზიაში საბჭოთა საფრთხის მოსაგერიებლად . ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს იაპონიაში ამერიკული სამხედროების განთავსება, რომელთაც შემდგომ ბრიტანელი ჯარისკაცებიც შეუერთდნენ. მართალია ეს სხვა

1. [1] **Akira Iriye, Warren I. Cohen.** The United States and Japan in the Postwar World. Kentucky, The University Press of Kentucky, 1989, გვ. 192.

2. [2] **Akira Iriye, Warren I. Cohen.** The United States and Japan in the Postwar World. Kentucky, The University Press of Kentucky, 1989, გვ. 192.

3. [3] **Akira Iriye, Warren I. Cohen.** The United States and Japan in the Postwar World. Kentucky, The University Press of Kentucky, 1989, გვ. 213.

მეზეზებით იყო ახსნილი, რაც არის ოკუპაციის შემდგომი პოლიტიკის გატარება და განიარაღებული იაპონიის დაცვა. თუმცა აშკარა იყო საბჭოთა ძალაუფლების გავრცელების შიში ცივი ომის პერიოდში. ცხადია სასურველი იყო დასაყრდენის ქონა ასეთ ვითარებაში. სამხედრო ბაზების ქონა კი არც სამომავლოდ იქნებოდა ურიგო (თუმცა საინტერესოა ისიც, რომ ამერიკა საბჭოთა საფრთხეს აზიაში მოიაზრებს, როგორც საფრთხის მომასწავებელს ევროპისთვის. აზიის უსაფრთხოება თითქოს უკანა პლანზე იწევს და მხოლოდ ხელსაწყოა ევროპისა და ამერიკის დასაცავდ ბრძოლაში).

ასევე აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ამერიკა ოდითგან ცდილობს იაპონიაში შეჭრას და მისი სავაჭრო თუ სხვა პოტენციალის ათვისებას. XIX საუკუნეში ამერიკა სამხედრო ძალის გამოყენების მუქარით ცდილობს ჩაკეტილი იაპონიის გახსნას, დამკვიდრებას ჯერ კიდევ აუთვისებელ ბაზარზე, როცა მთელი აზია კოლონიებით არის დაფარული. ამას ჰქონდა, სტრატეგიული და პოლიტიკური მიზეზები. ამერიკა ტოლს არ უთმობდა ევროპელ ჰეგემონებს[4]. დიდად არ შეცვლილა მდგომარეობა მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც. იაპონია კვლავ საინტერესო არეალად რჩება სავაჭრო ურთიერთობებისთვის და პარტნიორად აზიაში ამერიკული პოლიტიკის გასატერებლად, რაც შემდგომ გამოვლინდა ჩინეთსა და კორეასთან მიმართებაში.

ამრიგად ამერიკის ინტერესები იაპონიაში შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- მორალური პასუხისმგებლობის მოხდა

- მოკავშირის გაჩენა საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში

- სამხედრო ბაზების განთავსების შესაძლებლობა რეგიონში

- სავაჭრო პარტნიორის გაჩენა შორეულ აღმოსავლეთში/იაპონური ბაზრის ათვისება

- აზიაში ამერიკული პოლიტიკის გამტარებელი პარტნიორის შეძენა

4. [4] **გელაშვილი, ნანა.** იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში. თბილისი, უნივერსალი, 2012, გვ. 279.

1.2 პოტსდამის დეკლარაცია

26 ივლისს მოკავშირეთა მხარემ იაპონიას პოტსდამის დეკლერაციის მიხედვით წაუყენა ულტიმატუმი დანებებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული განადგურებით იმუქრებოდა. რა თქმა უნდა, ამან ვერ შეაჩერა იაპონია, რის შემდეგაც გამოიყენეს ატომური იარაღი. მისი დამანგრეველი გავლენის შემდეგ, 14 აგვისტოს იაპონიამ შეატყობინა გაერთიანებულ ძალებს დანებების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. 15 აგვისტოს კი რადიოტრანსალციის მეშვეობით იმპერატორის პირით იაპონიამ ომის დასრულების შესახებ შეიტყო. 28 აგვისტოს კი იაპონიაში შევიდნენ ამერიკელი ჯარისკაცები მალე კი მათ მიჰყვა გენერალი დუგლას მაკარტური, მოკავშირეთა ძალების უმაღლესი მეთაური. დაიწყო იაპონიის ამერიკული ოკუპაცია.

26 ივლისს პოტსდამის დეკლარაციით აშშ-ის, ჩინეთისა და ბრიტანეთის სახელით იაპონიას წაეყენა დანებების ულტიმატუმი. ძირითადი მოთხოვნები ასეთი იყო:

- უნდა აღმოფხვრილიყვნენ სამხედრო ავტორიტეტები, რომლთაც იაპონია მოცემულ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რათა დამყარებულიყო მშვიდობა, უსაფრთხოება და სამართალი.
- კაიროს დეკლარაციის მიხედვით იაპონიის სუვერენიტეტი იფარგლებოდა კუნძულებით: ჰოკაიდო, ჰონშიუ, კიუშუ და შიკოკუ.
- იაპონელი ჯარისკაცები განიარაღების შემდეგ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ.
- გასამართლებულიყვნენ ომის დამნაშავეები და აღმოფხვრილიყო ყველა წინაღობა რაც ხელს შეუშლიდა იაპონიაში დემოკრატიული ტენდენციების აღდგენა- გაძლიერებას. უნდა დამყარებულიყო ადამიანის უფლებათა პატივისცემა, სიტყვის, რელიგიისა და აზრის თავისუფლება.
- იაპონიას უფლება ეძლეოდა გაეგრძელებინა ქარხნების გარკვეული ნაწილის ექსპლუატაცია ეკონომიკის შესანარჩუნებლად და რეპარაციების გადასახდელად, მაგრამ ეკრძალებოდა ისეთი ქარხნების შენარჩუნება, რომლებიც იაპონიას

მისცემდა კვლავ შეირაღების საშუალებას. ეკრძალებოდა ასევე ნედლი მასალების მიღება და საერთაშორისო ვაჭრობის წარმოება.

- საოკუპაციო ძალები დატოვებენ იაპონიას, როცა მიიღწევა ეს მოთხოვნები და იაპონელი ხალხის მიერ თავისუფლად გამოხატული სურვილის მიხედვით აირჩევა მშვიდობიანი და პასუხიმგებლობით აღჭურვილი მთავრობა[5].

ამრიგად, პოტსდამის დეკლარაციით იაპონიას, როგორც აგრესორ ქვეყანას ეკისრებოდა სამართლიანი სასჯელი, თუმცა სადამსჯელო ქმედებები არ იყო მიმართული იაპონელი ერის დაკნინებისა და დამცირებისაკენ და საკმაოდ კეთილსინდისიერ მიზნებს ისახავდა. მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის პროგრესული მიმართულებით წაყვანა და დემოკრატიზაციის გზაზე დაყენება, რაც როგორც თავად დეკლარაციიდან ჩანს იაპონიისთვის არ იყო სიახლე. სამხედრო საფრთხის აღმოფხვრაზე ზრუნვაც ლოგიკურია.

დემოკრატიული ტენდენციები აქ ჯერ კიდევ მეიჯის ხანაში იკვეთება (1867-1912 წლები), როცა იაპონია დასავლურ გეზს იღებს, ცდილობს შეცვალოს განათლების სისტემა ევროპული მოდელის მიხედვით და შეიმეცნოს დასავლური ღირებულებები. მეიჯის ხანაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები. უმთავრესი ცვლილება იყო ის, რომ იაპონიის ყოველ მოქალაქეს მიენიჭა თანაბარი უფლებები კანონის წინაშე (თუმცა რეალურად ასე არ იყო). შეიქმნა წინაპირობა კაპიტალისტური განვითარებისთვის და ფეოდალური წესწყობილების შესაცვლელად. ევროპეიზაცია აისახა იაპონელთა ჩაცმულობაზეც. იცვლება მართვის სისტემაც: შეიქმნა წარმომადგენლობითი ორგანო და დაიწყო სახლემწიფო გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების აზრის გათვალისწინება. აგრეთვე, აღნივნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მეიჯის ცვლილებების შედეგად აღდგა იმპერატორის ძალაუფლება და მიუხედავად განათლების ევროპული მოდელისა, ბავშვებს შინტოისტური და კონფუციანური სულისკვეთებით ზრდიდნენ და იმპერატორის

5. [5] **Theodore de Bary, Carol Gluck, ArThur E. Tiedemann.** Sources of Japanese Tradition, Volume2, Part 2. New York, Colombia University Press, 2006, გვ. 324-325.

უზენაესობას უნერგავდნენ. მეიჯის ხანის ცვლილებებს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, რამაც მეტნაკლებად შეაფერხა ცვლილებები სხვა წინაღობებთან ერთად[6].

ტაიშოს პერიოდში (1912-1926 წ.) ძლიერდება კონსტიტუციური ხელისუფლება და პარტიული მმართველობა. გაჟღერდა ქალებისთვის არჩევნებში ხმის უფლების მინიჭების იდეაც. იგეგმებოდა სხვა ცვლილებებიც. მაგრამ დიდმა დეპრესიამ და საპარლამენტო ხელისუფლებასა და არმიას შორის გაჩენილმა უთანხმოებამ ჩამოაშორა იაპონია დემოკრატიულ გზებს, რომელსაც იაპონია მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაუბრუნდა. ამდენად, ამერიკის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს ასევე მოაიზრებენ, როგორც ტაიშოს ეპოქის დემოკრატიის აღდგენას.

6. [6] **გელაშვილი, ნანა.** იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში. თბილისი, უნივერსალი, 2012, გვ. 302-311.

1.2 იმპერატორი და მისი როლის მნიშვნელობა

იაპონური ეროვნული რელიგიის, შინტოიზმის, თანხმად იმპერატორი არის შუამავალი ადამიანებსა და ღმერთებს შორის. პირველი იმპერატორი, შინტოიზმის მთავარი ღვთაება ამატერასუს შვილიშვილი, სახელად ჯიმუ, დედამიწაზე წარიგზავნა ძვ.წ. 660 წელს და საფუძველი ჩაუყარა იაპონიის საიმპერატორო დინასტიას. იაპონიაში იმპერატორის ღვთაებრივი წარმომავლობის სჯეროდათ მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, სანამ პირველად არ გაიგეს იმპერატორის ხმა რადიოთი, რომელმაც გამოაცხადა იაპონიის დამარცხება ომში, შემდგომ კი საკუთარი ღვთაებრივი წარმომავლობაც უარყო. ამის შემდეგ“| კი ცხადშიც იხილეს მისი ყოვლად მიწიერი არსება. ამან გამოიწვია დიდი შოკი იაპონიის მოსახლეობაში. თუმცა იმპერატორი ყოველთვის არ სარგებლობდა აბსოლუტური ძალაუფლებითა და პატივისცემით. XII საუკუნეში იაპონიაში ორხელისუფლიანობა დამყარდა იმპერატორისა და შოგუნის (სამხედრო მმართველის) სახით. იმპერატორს მხოლოდ ფორმალური ძალაუფლება გააჩნდა. საიმპერატორო რეჟიმი სრულად მხოლოდ მეიჯის რეფორმების შედეგად აღდგა.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიას განაგებდა იმპერატორი ჰიროჰიტო (შოვა 1921/26 – 1989 წლები), რომელიც, რაღა თქმა უნდა, ჩართული იყო საომარი ქმედებების წარმათვაში. იგი მონაწილეობას იღებდა შეხვედრებში ომის წარმათვისა და გეგმების ჩამოყალიბების შესახებ და ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებესაც სწორედ ის იღებდა. იგი, რბილად რომ ვთქვათ, ომის ისეთივე დამნაშავე იყო, როგორც სხვა გენერლები, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარდგნენ. დიდი იყო მოთხოვნა და მოწოდებები მისი დასჯის შესახებაც. მაგრამ გენერალმა დუგლას მაკარტურმა სწორად გაიაზრა იმპერატორის უდიდესი როლი და მნიშვნელობა იაპონელების ცხოვრებასა და აღქმაში და აგრეთვე, ის თუ რამხელა სარგებლის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო ოკუპანტი ხელისუფლების მიერ იმპერატორის პიროვნების გამოყენება ახალი კამპანიის წარსამართვაში, რამაც ჰიროჰიტო იხსნა კიდეც გარდაუვალი სასჯელისაგან. ამდენად იმპერატორი მოგვევლინა შუამავლად ამერიკასა და იაპონელ ხალხს შორის. მაკარტურს

სჯეროდა როიალიზმის და თავს იმპერატორის თანასწორად მოიაზრებდა. მას სურდა ღირსეული სახელი დაეტოვებინა ისტორიაში, ამდენად, იაპონიის გარდაქმნას და ახალი დემოკრატიული ღირებულებების მქონე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

საბოლოოდ, იმპერატორს ასცდა სასამართლო, მაგრამ მისი ფუნქციები მეტად შეიზღუდა და შეიცვალა. ახალ კონსტიტუციაში ცალკე თავი ეთმობა იაპონიის იმპერატორს. კონსტიტუციის მიხედვით იმპერატორის სამთავრობო ფუნქციებისა და როლის განსაზღვრაზე მუშაობა დაევალა რიჩარდ პულს საოკუპაციო ძალების სამთავრობო სექტორიდან, რომელიც დაბადებული იყო სწორედ იმპერატორის დაბადების დღეზე. ეს იყო საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა. საოკუპაციო ხელისუფლებას არ სურდა იმპერატორისთვის ყველა უფლების ჩამორთმევა და მისი გამოყენება მხოლოდ ვიზუალური ეფექტისთვის. მაგრამ არც იმ განუზომელი ძალაუფლების შენარჩუნება სურდათ, რომლითაც იმპერატორი აქამდე სარგებლობდა და რომელმაც ასეთ სავალალო შედეგებამდე მიიყვანა არა მარტო იაპონია, არამედ მთელი მსოფლიო. ამოცანა იყო მეტად რთული და კარგად დაფიქრებას საჭიროებდა. საბოლოოდ შეთანხმდნენ იმაზე, რომ იმპერატორი სახელმწიფოსა და იაპონიელი ხალხის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენდა. ამდენად შენარჩუნდა იმპერატორის „თანამდებობა“, რომელიც დინასტიური მემკვიდრეობით თანამედროვე იაპონიაშიც აგრძელებს არსებობას. თუმცა იმპერატორს ჩამოერთვა მთელი რიგი „ძალაუფლებებისა“.

ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე მუხლს კონსტიტუციიდან, რომლებიც ნათლად დაგვანახებს იმპერატორის ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს იაპონიაში:

მუხლი 3. იმპერატორის სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებულ ყველა ქმედებას ესაჭიროება კაბინეტის რჩევა და დასტური და კაბინეტი უნდა იყოს ამაზე პასუხისმგებელი.

მუხლი 4. იმპერატორი სახელმწიფოს საქმეების აღსრულებისას უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონსტიტუციით დადგენილი ქმედებებით და მას არ უნდა გააჩნდეს ძალაუფლება, რომელიც მთავრობასთან არის დაკავშირებული.

მუხლი 6. იმპერატორმა უნდა დანიშნოს პრემიერმინისტრი, რომელიც დასახელებული იქნება პარლამენტის მიერ. იმპერატორმა უნდა დანიშნოს უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლე, რომელიც დასახელებული იქნება კაბინეტის მიერ.

მუხლი 7. ხალხის სახელით, კაბინეტის რჩევითა და დასტურით, იმპერატორმა უნდა განახორციელოს სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებული შემდეგი ქმედებები: კონსტიტუციაში, კანონებში, კაბინეტის განკარგულებებში და შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის გამოცხადება; პარლამენტის მოწვევა; წარმომადგენელთა პალატის დაშლა; პარლამენტის წევრების საყოველთაო არჩევნების გამოცხადება; სახელმწიფო მინისტრების და სხვა თანამდებობის პირების დანიშვნის, გადაყენებისა და ელჩებისა და მინისტრების სრული ძალაუფლებისა და მანდატების დამტკიცება, როგორც კანონითაა გათვალისწინებული; საყოველთაო და სპეციალური ამნისტიის, სასჯელის შემსუბუქების, სასჯელის გადადების და უფლებების აღდგენის დამტკიცება; ჯილდოების მინიჭება; რატიფიკაციისა და სხვა დიპლომატიური დოკუმენტების დამოწმება, როგორც კანონითაა გათვალისწინებული; უცხოელი ელჩებისა და მინისტრების მიღება; ფორმალობების შესრულება.[7]

ამრიგად იმპერატორი არის სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლო, რომელსაც სახელმწიფოში კონსტიტუციურად მკაცრად განსაზღვრული ინსტრუქციების შესრულება უწევს. მას არ აქვს არავითარი ძალაუფლება, სახელმწიფოსთან

7. [7] იაპონიის კონსტიტუცია https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Constitution%20of%20Japan.pdf, გვ. 2-3.

დაკავშირებული ყველა ქმედება შეთანხმებული უნდა იყოს მინისტრთა კაბინეტთან, რომელსაც აქვს იმპერატორზე პასუხისმგებლობა აღებული. იმპერატორი ნიშნავს პირებს სხვადასხვა თანამდებობებზე და ამოწმებს დოკუმენტებს, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე წინასწარ არის განსაზღვრული პარლამენტის მიერ. სხვა ქმედებებშიც იმპერატორს არ აქვს უფლება კონსტიტუციას გადაუხვიოს. ამდენად მას არ აქვს არავითარი თავისუფლება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. მისი არსებობაც უფრო ფორმალური და სიმბოლორუია ვიდრე რეალური მნიშვნელობის მქონე, თუმცა ვფიქრობ აუცილებელი იაპონური ტრადიციებისა და ხალხის დამოკიდებულებიდან გამომდინარე იმპერატორის მიმართ.

მაკარტური აქტიურად იყენებდა იმერატორს ამერიკული რეფორმების წარმატებით გასატარებლად. იმართებოდა შეხვედრები მოსახლეობასა და იმპერატორს შორის, რომელიც ამერიკული საოკუპაცო ხელისუფლების მითითებებს ასრულებდა. ეს შეხვედრები დიდ როლს ასრულებდა იმპერატორისა და ხალხის დაახლოებაში და ასევე, ხალხის მორალური მდგომარეობის ამაღლებასა და მხარდაჭერაში.

შეიძლება ითქვას, რომ გენერალმა საკმაოდ ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო იმპერატორის შენდობითა და მისთვის გარკვეული უფლებამოსილებების მინიჭებით. ჰიროჰიტო ფაქტობრივად ამერიკის მარიონეტის როლს ასრულებდა იაპონიაში ხალხის შეუმჩნევლად, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების დანერგვასა და კონსტიტუციის მიღებას.

ამდენად, სწორედ დასავლური გავლენის წყალობით ინარჩუნებს იმპერატორი თავის პოზიციას იაპონიაში. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას და იპერატორის გამოწვევებს, აქამდე საიმპერატორო ტახტი ეკავა იმპერატორ აკიჰიტოს, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მან გადადგომის უფლება ითხოვა, რაც საკმაოდ გაჭიანურდა. მაგრამ საბოლოოდ მან მიიღო უფლება დაეთმო ტახტი და 2019 წლის 1 მაისს ახალ იმპერატორად მოგვევლინა მისი უფროსი ვაჟი ნარუჰიტო. დღეისათვის იმპერატორის უფლებამოსილებები ძალიან შეზღუდულია და ის რაც ყველაზე მეტად აღელვებს აწ უკვე

ყოფილ იმპერატორ აკიჰიტოს საიმპერატორო დინასტიური ხაზის შესაძლო შეწყვეტაა. 1947 წლის კონსტიტუციით საიმპერატორო ტახტი მემკვიდრეობით გადადის, მაგრამ კანონში არ არის დაზუსტებული მემკვიდრის სქესი. დღეისათვის კი ამ საკითხში იაპონიის ხელისუფლება ეყრდნობა მეიჯის კანონებს, რომლის მიხედვით მხოლოდ ვაჟს, მამაკაცური ხაზიდან, ეძლევა ტახტის კანონიერი მემკვიდრის სტატუსი. იყო საუბრები შესაძლო ცვლილებებზე, როდესაც მმართველ პარტიას დემოკრატები წარმოადგენდნენ. სულ ცოტა, გათხოვების შემდეგ ქალებისთვის საიმპერატორო გვარის შენარჩუნებაზე მიდიოდა განხილვები. მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვითაც გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა 80%-ისთვის მნიშვნელობა არ ქონდა მემკვიდრის სქესს. თუმცა, ხელისუფლებაში ლიბერალ-დემოკრატების დაბრუნებისა და 2007 წელს საიმპერატორო ოჯახში ვაჟის შემატების შემდეგ ეს დისკუსია შეჩერდა. თანაც დღევანდელი პრემიერ მინისტრი შინძო აბე ტრადიციების მიმდევარი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული დებატები ამ თემაზე სამომავლოდ განახლდეს. 2018 წლის *იომიური შიმბუნის* (იაპონური გაზეთი) მონაცემებით კი 40% მიესალმება განშტოებების ჩამოყალიბებას ქალით სათავეში, საიდანაც შესაძლებელი იქნება კვლავ ვაჟი მეკვიდრის არჩევა. 16% ამ იდეის წინააღმდეგია, 43% კი ვერ ჩამოყალიბებულა პასუხში. ასე რომ, ყოფილი იმპერატორი აკიჰიტო კვლავაც განიცდის საიმპერატორო ოჯახის განადგურების დიდ ალბათობას, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, რადგან ცვლილებების განხორციელების უფლებას კონსტიტუცია არ ანიჭებს.

აღსანიშნავია რომ, საიმპერატორო ოჯახის მიმართ მოსახლეობაც თანდათან უფრო გულგრილი ხდება და დიდი ნაწილი ვერ ხედავს იმპერატორის არსებობის აუცილებლობას. ასე რომ, მთელი იმედები საიმპერატორო ხაზის გაგრძელებაზე პატარა პრინცჰისაშიტოზეა დამოკიდებული.

თავი II. რეფორმები და ეკონომიკური განვითარება ომის შემდგომ იაპონიაში

ამერიკამ მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა იაპონიაში ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის. პირველ რიგში, მიიღეს მეცხრე მუხლი, რომლის მიხედვითაც იაპონიამ უარი თქვა ყოველგვარ საომარ ქმედებებზე საერთაშოისო საკითხების გადაწყვეტისას და მოხდა სრული სამხედრო დემობილიზაცია. იაპონიაში სტრატეგიულ ადგილებზე განთავსდნენ ამერიკული და ბრიტანული ჯარები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქვეყნის უსაფრთხოებას. თუმცა ფინანსურ მზრუნველობას მათ იაპონია უწევდა. ოკინავა კი, მთავარი ბაზა, მთლიანად ამერიკელების მიერ კონტროლირებად ტერიტორიად იქცა. სასამართლოს წინაშე წარდგნენ სამხედრო დამნაშავეები. აგრეთვე იაპონიას დაუწესდა რეპარაციები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამერიკის მთვრობამ, რომელიც ხედავდა თუ რამდენად უჭირდა შიმშილის ზღვარზე მყოფ ქვეყანას ომის შემდეგ დიდი დახმარება გაუწია მას და დაიწყო იაპონიის მდგომარეობიდან გამოყვანა დასჯის ნაცვლად.

გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები და 1947 წელს გამოიცა იაპონიის კონსტიტუცია, რომელსაც დღესაც ეყრდნობა იაპონიის ხელისუფლება. რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე იაპონიის ჩამოყალიბებაში. თუმცა იმდროინდელი ხელისფულება, რომელიც დამარცხებული ქვეყნის მთავრობას წარმოადგენდა უპირობო კაპიტულაციით, სიხარულით არ შეხვედრია მრავალ ცვლილებას. გარკვეულ რეფორმებზე ოკუპაციურმა და ადგილობრივმა მთავრობებმა შეთანხმებას მიაღწიეს, მაგალითად მიწის რეფორმაზე. რიგ ცვლილებებს იაპონიის მხრიდან შოკი მოჰყვა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიიღეს, როცა გაიაზრეს მათი საჭიროებები და სარგებელი, მაგალითად 1947 წლის კონსტიტუცია. რიგ ცვლილებებზე კი ვერ შეჯერდნენ, რაც საბოლოოდ ვერ განხორციელდა. მაგალითად მსხვილი საწარმოების დეცეტრალიზაცია.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ამერიკის მიდგომა ცვლილებებისადმი. ზოგიერთი მოსაზრებით მაკარტური გარსშემორტყმული იყო იაპონური ენის გარკვეულ დონეზე

მცოდნე აკადემიკოსებითა და მეცნიერებით, რომელთაც ჰქონდათ იაპონიაში ცხოვრების გამოცდილება და ესმოდათ 1920-1930იანი წლების იაპონია. თუმცა მეორე მოსაზრებით შეკრებილი გუნდიდან მხოლოდ რამდენიმეს თუ ეცხოვრა იაპონიაში და ესმოდა ამ ქვეყნის განსხვავებული კულტურა და მენტალიტეტი, რა მდგომარეობა იყო და რა ცვლილებები იყო გასატარებელი. თავად გენერალი მაკარტურიც არ საუბრობდა იაპონურად, შეხვედრები მხოლოდ უმაღლესი წოდების იაპონელებთან ჰქონდა, რა თქმა უნდა, თარჯიმნის დახმარებით და უბრალოდ არ ესმოდა იაპონელთა მსოფლმხედველობა. ის მხლოდ ამერიკიდან მიღებული მითითბების მიხედვითა და დემოკრატიის დამყარების სურვილით მოქმედებდა. მის ირგვლივ შეკრებილი გუნდისთვის კი იაპონია თითქოს იყო ახლად აღმოჩენილი ამერიკა, სადაც სურდათ ახალი პროგრესული სახელმწიფოს შექმნა. თუმცა ის ავიწყდებოდათ, რომ იაპონიას არსებობის ხანგრძლივი წარსული და უკვე ჩამოყალიბებული და კარგად გამჯდარი ტრადიციები, აზროვნება და სახელმწიფოებრიობა გააჩნდა. თანაც გუნდს მეტისმეტად მოკლე ვადა მიეცა ახალი კონსტიტუციის შესაქმნელად.

თავდაპირველად, იაპონიის მთავრობას დაევალა მეიჯის დროინდელი კონსტიტუციის გადახედვა და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. იაპონიის მთავრობა შეუდგა მოთხვონის აღსრულებას და დაიწყო 1889 წლის კონსტიტუციის გადახედვა, მაგრამ მათ მიერ შემოთავაზებული ცვლილებები მეტად უმნიშვნელო იყო, რამაც ვერ დააკმაყოფილა გენერალი დუგლას მაკარტური და მალე მან ამერიკული გუნდის სამთავრობო სექციას გენერალ უიტნის ხელმძღვანელობით დაავალა ახალი კონსტიტუციის შექმნა, რომელიც შემდგომ მოსახლეობას წარედგინებოდა, როგორც იაპონური მთავრობის მიერ შედგენილი კონსტიტუცია.სამუშაოდ კი სასაცილოდ მოკლედ დრო მისცა. სულ რაღაც 6 დღეში 24 კაცისაგან შემდგარ საკონსტიტუციო ასამბლეას უნდა წარედგინა კონსტიტუციის შაბლონი განსახილველად. ასევე საგულისხმოა, რომ გუნდის წევრებიდან არც ერთს არ ქონია კონსტიტუციაზე მუშაობის რაიმე გამოცდილება. მათგან ერთი იყო კონგრესმენი, ერთი ნოველისტი, ორი აკადემიკოსი და ხუთი ადვოკატი. მხოლოდ ერთი წევრი არ იყო შერჩეული შემთხვევითი წესით, ეს იყო ბეატე სიროტა გორდონი, რომელიც გარკვეული

ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ტოკიოში ოჯახთან ერთად და ბევრად მეტი გაეგებოდა იაპონიის და იაპონელების ვიდრე მის თანაგუნდელებს. ის სამოქალაქო უფლებების სექციაში გაამწესეს.

მიუხედავად ყველაფრისა, არსებულ პირობებში გუნდმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი წამოჭრილ ამოცანებს.გატარდა მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება: ეს იყო ცვლილება განათლების სფეროში. სახელმღვანელოებიდან ამოიღეს სამხედრო და საომარი მოწოდებების შემცველი ტექსტები თუ სურათები. ამასთან, გაუქმდა ცენზურა, რის შედეგადაც კვლავ აღმოცენდნენ დახურული თუ ახალი გამომცემლობები. შეიცვალა კინო-ინდუსტრია. გაჩნდა მეტად თავისუფალი სცენები და იდეების გამოხატვაც თავისუფლად გახდა შესაძლებელი. აღარ იყო სავალდებულო საომარი მოტივების გამოყენება. გაჩნდა უფრო მეტად რომანტიული ფილმები, წინ წამოვიდა ქალის თემაც და მთავარ პერსონაჟებად მრავალ ფილმში სწორედ ქალები და მათი პრობლემები თუ მისწრაფებები წარმოგვიდგა. ამ მხრივ აღსანიშნავია აკირა კუროსავას ფილმი „არ ვნანობ ჩემს ახალგაზრდობაზე“, რომელიც ძლიერ და ემოციურ ქალ პერსონაჟს წარმოგვიდგენს. აგრეთვე დაიწყო ჰოლივუდის ფილმების მოზღვავება და შემოდინება, რაც ხელს უწყობდა კულტურათა ასიმილაციას და ამ ორი ერის დამეგობრებას. შეიძლება ითქვას 1940-50იანი წლები იყო სიძულვილისა და სიყვარულის პერიოდი. სიძულვილი მოდიოდა მთავრობიდან, მაგრამ ომით დაღლილი და გატანჯული მოსახლეობა დიდი ინტერესით იღებდა უცხო ხილს - ამერიკულ პოპკულტურას. ჩნდებოდნენ შერეული ოჯახებიც.

მუშათა ცხოვრების დონის და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად შეიქმნა ეგრეთ წოდებული „პროფკავშირები“. დაიშვა სიტყვის თავისუფლება და მასთან საპროტესტო დემონსტრაციები. თუმცა ასეთმა თავისუფლებამ მაკარტურის ოკუპაციურ მთავრობას არასასურველი შედეგი მოუტანა კომუნისტებისა და სოციალისტების გააქტიურებით. ამიტომ დემოსტრაციებთან დაკავშირებით კვლავ დაწესდა შეზღუდვები.

2.1 მიწის რეფორმა

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო მიწის რეფორმა, რომლის საშუალებითაც ფაქტობრივად აღმოიფხვრა დრომოჭმული ფეოდალური წეს-წყობილება, რომელმაც ასე დიდხანს გასტანა იაპონიაში და კაპიტალიზმის გვერდით დგომაც მოასწრო. მიწის რეფორმამ და ფეოდალიზმის უსიხლოდ გადაგდებამ დიდი წარმატებით ჩაიარა იაპონიაში, რადგან ამის მოსურნე იყო არამარტო დასავლური ხელისუფლება, იაპონიაც დიდი ხანია ხვდებოდა მის უსარგებლობას და ცდილობდა მისგან გათავისუფლებას. იაპონიაში სასოფლო სამეურნეო მიწის დიდი ნაწილი ოჯახების მცირე ნაწილს ეკავა, რომლებიც აქირავებდნენ ნაკვეთებს მათზე „დასმულ“ გლეხებზე. გლეხი არ იყო თავისუფალი იმის არჩევანში, თუ რა სახის კულტურას დარგავდა და მიწის ქირაც ნატურით უნდა გადაეხადა, რაც ხშირად დიდ მოსავალს არ უქადდა. აგრეთვე ხშირად გაქირავებული მიწები იმდენად შორს იყო, რომ მოიჯარეებს დიდი მანძილის გავლა და დიდი დროის დახარჯვა უწევდათ ნაკვეთამდე მისასვლელად. რეფორმა, რომელიც თავიდან იაპონურმა მთავრობამ წარადგინა, თავდაპირველად დაიწუნა გაერთიანებული საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობამ, იმ მიზეზით, რომ ცვლილება კვლავაც მემამულეთა მხარეს იყო და მათ საკმაოდ დიდი ნაკვეთები რჩებოდათ. ფერმერთა ოჯახების რაოდენობა დაახლოებით 6 მილიონს წარმოადგენდა. აქედან მხოლოდ ერთ მესამედს ეკაა მიწების 90%[8]. საბოლოოდ, ახალი რეფორმით მემამულეს ჩამოერთმეოდა მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი თუკი იგი მდებარეობდა იმ რეგიონში, რომელიც სცდებოდა მის საცხოვრებელ არეალს ან მეტისმეტად დიდი იყო. საშუალოდ შესაძლებელი იყო 2,5 აკრის შენრჩუნება მჭიდროდ დასახლებულ და ნაყოფიერ რეგიონებში. ჩამორთმეული მიწები მთავრობამ შეიძინა ინფლაციამდელი ფასებით, შემდგომ კი შეირჩა შესაძლო მყიდველი და მათ ახალი, შედარებით დაბალი ფასით გადაეცათ ნაკვეთი. კულტივაციის არჩევანში გლეხმა თავისუფლება მოიპოვა. მალე იჯარით აღებული მიწები და

[8] **Jansen, B. Marius.** The Making of Modern Japan. United States of America, Harvard UniversiTy Press, 2002, გვ. 682.

მემამულეები თითმის გაქრნენ. 1947-1948 წლებში მესაკუთრეთა მიერ დამუშავებული მიწის რაოდენობა პროცენტულად გაიზარდა 55,7%-დან 88,95%-მდე[9], რამაც შექმნა სტაბილური სასოფლო-სამეურნეო გარემო ომის შემდგომ იაპონიაში.

[9] **Jansen, B. Marius.** The Making of Modern Japan. United States of America, Harvard UniversiTy Press, 2002, გვ. 683.

2.2. ეკონომიკა

რაც შეეხება ამერიკის სურვილს ძაიბაცუების დეცენტრალიზებასთან დაკავშირებით, იაპონიაში ეკომოკინური მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლება მოიაზრებდა ძაიბაცუს კონგლომერატების გაუქმებას. როგორც მიწის შემთვევაში, კერძო საკუთრებაც დიდი რაოდენობით თავმოყრილი იყო გარკვეული ოჯახების ხელში, რომელთა რაოდენობა 56-ს არ აჭარბებდა. ოჯახების ჯგუფები, რომლებიც ფლობდნენ ფირმებს თუ სხვა კერძო საკუთრებას წარმოადგენდნენ ძაიბაცუს. ანუ ეს იყო ოჯახების მიერ მართული მონოპოლიები. ამერიკას მიაჩნდა და მაკარტურიც აღნიშნავდა, რომ ასეთი კონგლომერატები დიდ საომარ პოტენციალს ფლობდნენ. დაიწყო მათი დაშლა პატარა ფირმებად. არსებული აქციების დიდი ნაწილის ჩამორთმევა და გაყიდვა. თუმცა ეს არ იყო სწორი გადაწყვეტილება, მითუმეტეს მაშინ, როცა იაპონიის ეკონომიკა დიდი წნეხის ქვეშ მოექცა არსებული გაჭირვების და რეპარაციების გადახდის ვალდებულების გამო. აქ ჩანს ამერიკელი რეფორმატორების გაუთვიცნობიერებლობაც იაპონურ სიტემაში. ამ გადაწყვეტილებებს დიდი კრიტიკა მოჰყვა და მხოლოდ ისევ ამერიკელების ჩარევის შემდეგ შეიცვალა მაკარტურის კურსი რეფორმებიდან რეკონსტრუქციისკენ. მაკარტურს ეწვივნენ სპეციალისტები შტატებიდან, რომლებმაც დაარწმუნეს შემუშავებული კურსის შეცდომაში.

გეგმით განსაზღვრული 1200 ფირმიდან მხოლოდ 325-ის დაშლა გადაწყდა. და ამ რაოდენობიდანაც რეალურად მხოლოდ 28 დაიშალა. თუმცა ძაიბაცუს მსგავი კონგლომერატები აღარ აღდგენილა და შემდგომში უკვე ბანკის ირგვლივ შემოკრებილი ფირმების დაჯგუფებები გაჩნდა.

იაპონიის ეკონომიკის გამოსასწორებლად ამერიკულმა გეგმამ არ გაამართლა და მალე საქმეში იაპონელი სპეციალისტები ჩაერთვნენ. იაპონია ამერიკული კურსის პარალელურად იმუშავებდა საკუთარ სამოქმედო გეგმას, რადგან ხედავდა, რომ იაპონიის ეკონომიკა არასასურველ მხარეს მიდიოდა. გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ეკონომიკის დაგეგმარებაში. უცხოური მიმოცვლის კონტროლმა და რესურსების

გადანაწილებამ შესაძლებელი გახადა ეკონომიკისთვის მიმართულების მიცემა. ერთ-ერთი დაბრკოლება ეკონომიკის აღდგენაში იყო რეპარაციები. პოტსდამის დეკლარაციით იაპონიას უფლება ქონდა ეკონომიკის მხარდასაჭერად გარკვეული ინდუსტრიული სფეროები შეენარჩუნებინა. მაგრამ უცნობი იყო რა მიმართულებით მისცემდნენ უფლებას განევითარებინათ ნებადართული ინდუსტრია.

დადგინდა მიზანი იაპონია დაბრუნებოდა 1930-1934 წლების სტანდარტს. 1946 წელს იოშიდა შიგერუმ პრემიერ მინისტრად დანიშვნის შემდგომ მოიწვია ეკონომისტი დამგეგმარებლები და მათთან ხანგრძლივ შეხვედრებს მართავდა. საჭირო იყო პრიორიტეტების დადგენა, რადგან დაბალპროდუქტიულობის ფონზე შეუძლებელი იქნებოდა ეკონომიკის ყველა სფეროს განვითარება.

ენერგიის წყაროს იმ დროისათვის ქვანახშირი წარმოადგენდა. ქვანახშირის საბადოები კი ომის დროს კორეელი ტყვეების ექსპლუატირების საფუძველზე არსებობდა. გადაწყდა საბადოების გაუმჯობესება ფოლადის გამოყენებით. გენერალური შტაბისგან ნებრათვაც მოვიდა მცირე რაოდენობით გაუწმენდავი ნავთობის შემოტანაზე ენერგო-ბაზის გასაძლიერებლად.

დაიწყო ტექსტილის წარმოებაც, სადაც ბამბისა და სინთეთიკური ქსოვილების შერევის საფუძველზე შემცირდა ნედლი მასალის იმპორტზე მოთხოვნილება. იაპონიის ეკონომიკა საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდებოდა. აშკარა იყო, რომ წვრილი წარმოება ეკონომიკას უცებ ვერ დააყენებდა ფეხზე. თუმცა მალე მოვლენები შეიცვალა და შედეგად იაპონური სასწაული მივიღეთ. თუმცა მძლავრი ეკონომიკური ზრდა ოკუპაციის წლების დასასრულს მოჰყვა და გამოწვეული იყო არა მარტო იაპონელთა სწორი გათვლებით, არამედ მეტად მნიშვნელოვანი გარეშე თუ შიდა ასპექტებით. პირველ რიგში ეს იყო ნულოვანი ხარჯი სამხედრო ეკიპირებაზე. ვინაიდან იაპონიას ეკრძალებოდა საომარ ქმედებებში ჩართვა ან მათი ინიცირება და იყო სრულიად განაიარაღებული, ვინაიდან არც თავდაცვითი ზალები არსებობდნენ, არ არსებობდა სამხედრო ხარჯები. გამოთავისუფლებული ფინანსური ვალდებულებები შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვანი სფეროს განვითარებას

დათმობოდა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია კორეისა და ვიეტნამის კონფლიქტი, რადგან საომრად საჭირო წყაროების მისაღებად ისევ იაპონიას მიმართეს, რამაც დიდად შეუწყო ხელი ეკონომიკის განვითარებას და ფეხზე დაყენებას. აგრეთვე, დიდი როლი ითამაშა ამერიკის დახმარებამ და სავაჭრო ურთიერთობების დამყარებამ ამერიკასთან. მალე იაპონიას ნედლი რესურსის იმპორტისა და საერთაშორისო სავაჭრო ურთეირთობებში ჩართვის უფლებაც დაუბრუნდა. ამსთან იაპონია აკონტროლებდა იმპორტირებულ საქონელს და ცდილობდა საკუთარი რესურსები მაქსიმალურად ჩაერთო შიდა ბაზარში და არ ყოფილიყო დამოკიდებული გარედან შემოსულ პროდუქციაზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკრძალული იყო ბრინჯის შეტანა იაპონიაში. ექსპორტი ბევრ ბიორუკრატიულ პროცესთან იყო დაკავშირებული და მართალია პირდაპირი აკრძალვები მაინცდამაინც არ არსებობდა, მაგრამ მეტად ართულებდა პარტნიორებისთვის იაპონიაში იმპორტზე მუშაობას. ამერიკაში კი დიდი პოპულარულობით სარგებლობდა იაპონური ავტომობილები და ელექტრო-ტექნიკა. ამრიგად სწორმა დაგეგმარებამ, გამოთავისუფლებულმა სამხედრო ხარჯებმა და გარეშე პირობებმა იაპონიას ეკონომიკური წარმატება მოუტანა.

თავი III. იოშიდა შიგერუს შეხედულებები ამერიკულ კურსთან დაკავშირებით

იოშიდა შიგერუ თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ საოკუპაციო ხელისუფლების განზრხავების კეთილმოსურნეობა ეჭვგარეშე იყო. მათი პოლიტიკური კურსი უკვე განსაზღვრული იყო გაერთიანებული ძალების მიერ, რომლის წარმომადგენელიც იყო ამერიკის შეერთებული შტატები იაპონიაში. შიგერუ ამბობს, რომ იაპონიის მთავრობას არ ქონდა მათთან შეკამათების მიზეზი. ამერიკელების მთავარ ამოცანას იაპონიაში წარმოადგენდა იაპონიის მიერ ამერიკის და მსოფლიო მშვიდობის წინააღმდეგ შესაძლო საფრთხის აღმოცენების აღმოფხვრა და თანდათანობით მშვიდობიანი და პასუხისმგებლობით აღჭურვილი მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც პატივს სცემს სხვა სახელმწიფოებს და მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების მიზნებს, რომლებიც ასახულია გაერთიანებული ერების ქარტიაში. მაგრამ აშშ არ ცდილობს თავად შექმნას მთავრობა, რომელსაც არ ექნება თავისუფალი ხალხის მხარდაჭერა... [10]

როგორც იოშიდა ამბობს, იაპონიის მთავრობას არ უნდა ქონოდა რაიმე საწინააღმდეგო, რადგანაც მას თავად ჰქონდა მსგავსი განზრახვები. იოშიდას მემუარებიდან ჩანს, რომ იგი საკმაოდ კარგადაა განწყობილი ამერიკული საოკუპაციო ხელისფულების და მათ მიერ გატარებული ცვლილებების მიმართ, რომელთა უმეტესობაშიც მისი შეხედულებები ემთხვევა. იგი მიესალმება მეცხრე მუხლს ომზე უარის თქმასთან დაკავშირებით და ამ მხრივ იაპონიის სისტემის შეცვალს. რადგან იაპონიას ბევრი აღიქვამს, როგორც ომის მიმართ მიდრეკილ, მილიტარისტულ სახელმწიფოს. იოშიდა შიგერუ თითქოს შეურაცხყოფილია იაპონიაზე შექმნილი ასეთი წარმოდგენით და მის მთავარ ინტერესებში შედის ჩამორეცხოს იაპონიას ასეთი სამარცხვინო სახელი და დაუბრუნოს მას ღისრეული ადგილი მსოფლიოში.

---

10. [10] **Yoshida, Shigeru.** The Story of Japan in Crisis. Great Britain, The Windmill Press LTD, 1961, გვ. 127.

როდესაც საოკუპაციო ხელისუფლებამ მოითხოვა იაპონიის მიერ მეიჯის პერიოდში შემუშავებული კონსტიტუციის გადახედვა იოშიდა შიგერუს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა და ის უშუალო მონაწილეობასაც იღებდა პროცესებში. როგორც იოშიდა ამბობს, იაპონიას ჩამოერთვა თავდაცვის უფლება შესაძლო გართულებებისა და საფრთხეების თავიდან ასაცილებლად და მთავრობასაც თითქოს უბრალოდ ნება ჰქონდა დართული ეარსება. იაპონური მთავრობა კი ყველანაირად იყო მობილიზებული, რათა საჭიროების შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწია ან საერთოდაც ჩაეშალა ამერიკის მიერ დაანონსებული ცვლილები. ვინაიდან მათ არ იცოდნენ რამდენად მისაღები შეიძლება ყოფილიყო ეს ყველაფერი იაპონიისთვის. თუმცა, როგორც შიგერუ ამბობს, აღმოჩნდა, რომ ამერიკის ოკუპაციური ძალები და იაპონიის მთავრობის მიზნები თანხვედრაში მოდიოდა ერთმანეთთან და საგანგაშო მოლოდინები არ გამართლდა.

როდესაც იაპონიის მთავრობას მეიჯის კონსტიტუციის გადახედვა დაევალა შეიქმნა სპეციალური კომისია ამ დავალების შესასრულებლად. იქიდან გამომდინარე, რომ მათ სამუშაოდ საკმაოდ ცოტა დრო ჰქონდათ, კონსტიტუცია კი საკმაოდ ბევრ საკითხს მოიცავდა, ჩამოყალიბდა 4 პრინციპი, რომლის მიხედვითაც კომისია წარუძღვა მუშაობას. ესენია:

1. არ განეხორციელებინათ არავითარი ცვლილება სუვერენიტეტის გაგებასთან დაკავშირებით, რომელიც იმპერატორშია გამოხატული.
2. უნდა გაზრდილიყო პარლამენტის უფლებამოსილებები და ძალაუფლება და დაწესებულიყო შეზღუდვები იმპერატორის პრეროგატივებზე, ამდენად მისი ძალაუფლება შეიზღუდებოდა.
3. სახელმწიფოსთან მიმართებაში არსებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მინისტრები პასუხისმგებელნი უნდა ყოფილიყვნენ პარლამენტის წინაშე და არა იმპერატორის წინაშე, როგორც ეს ადრე იყო.

4. პიროვნებების უფლებები და თავისუფლებები კიდევ უფრო მეტად უნდა გამყარებულიყო და დაცულიყო შესაძლო დარღვევების საწინააღმდეგოდ[11].

ამდენად, გასაკვირი არაა, რომ იაპონიის მთავრობამ სწორად განსაზღვრა იმპერატორის ძალაუფლების შეკვეცის ან საერთოდ შეცვლის ალბათობა. თუმცა მათ მიერ გაკეთებული ცვლილებები არ იყო საკმარისი, სულ ცოტა, სამართლიანობის მისაღწევად მაინც. აშკარაა იაპონიის, როგორც ერთ-ერთი ძლიერი აგრესორი ქვეყნის დანაშაული მსოფლიო მშვიდობის ხელყოფაში, რის გამოც პასუხისმგებელ პირებს გარდაუვალი სასჯელი ელოდებათ. იაპონიის შემთხვევაში ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა სწორედ ქვეყნის პირველ პირს, იმპერატორს ეკისრება. იაპონიას კი თითქოს არ სურს აღიაროს საკუთარი დანაშაული და მართალია იგი თავდახრილი ასრულებს საოკუპაციო რეჟიმის მოთხოვნებს, რადგან სხვა გამოსავალი არც აქვს, მაგრამ მაინც ცდილობს გვერდი აუაროს მკაცრ სასჯელს. თუმცა იაპონიის ასეთი შეუპოვარი მცდელობა იმპერატორის ძალაუფლების შენარჩუნებასა და მის დანაშაულებებზე თვალის დახუჭვაც გასაგებია. იაპონელ ხალხს ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ქონდა იმპერატორის მიმართ.

შიგერუ იხსენებს, რომ იაპონიის მთავრობის მიერ გაკეთებული მცირე ცვლილებებით საოკუპაციო ხელისუფლება უკმაყოფილო დარჩა. საინტერესოა კიდევ ერთი მცირე ცვლილება იმპერატორის სტატუსთან დაკავშირებით. მეიჯის კონსტიტუციის გადახედვისას ახალ შაბლონში ფრაზა „იმპერატორის პიროვნება არის წმინდა და ხელშეუხებელი“ შეიცვალა ფრაზით: „იმპერატორის პიროვნება არის ყველაზე ამაღლებული და ხელშეუხებელი“. აქაც კარგად ჩანს, რამდენად რთულია იმპერატორის ღვთაბრიობის დათმობა მასზე დამოკიდებული ხალხის მიერ. საბოლოოდ სამთავრობო სექტორს გენერალ უიტნის ხელმძღვანელობით დაევალა ახალი შაბლონის შემუშავება სულ რაღაც ერთ კვირაში, რომელიც შემდგომ წარედგინა იაპონიის მთავრობას. კონსტიტუცია

11. [11] **Yoshida, Shigeru.** The Story of Japan in Crisis. Great Britain, The Windmill Press LTD, 1961, გვ. 131.

იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ, იაპონელმა ხალხმა...“ ბევრისათვის ეს უკვე მიუღებელი იყო. პირველივე სიტყვები მკაფიოდ მიუთითებდა იმპერატორის ძალაუფლების შეკვეცაზე. კონსტიტუციას იღებდა ხალხი და არა იმპერატორი. მოკლედ, ახალმა კონსტიტუციამ დიდი აჟუოტაჟი და წინააღმდეგობები გამოიწვია იაპონელ ხელისუფლებს შორის. იაპონია არ იყო მზად ამდენად დემოკრატიული და პროგრესული კონსტიტუციისთვის. იმპერატორის სტატუსის შეკვეცა და სამხედრო შეიარაღებაზე უარის თქმაც საკმაოდ შოკისმომგვრელი იყო და იოშიდაც მეტწილად სწორედ ამ ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას თავის მემუარებში. იაპონელი მთავრობის წარმომადგენლებმა დიდი სურვილი გამოთქვეს შაბლონის კარგად გააზრებისა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილების შეტანის შესახებ, მაგრამ გენერალი მაკარტური საკმაოდ ჩქარობდა საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებასა და კონსტიტუციის დამტკიცებას. ამიტომ პროცესები საკმაოდ სწრაფად განვითარდა. იაპონელებს ფაქტობრივად არ მიეცათ არავითარი ცვლილების განხორციელების უფლება და 1946 წლის 6 მარტს უკვე შაბლონის ძირითადი შინაარსი დაიბეჭდა გაზეთებში. იოშიდა შიგერუ იმით ხსნის გენერალი მაკარტურის ასეთ სულსწრაფობას, რომ 1946 წლის აპრილში უკვე გენერალური არჩევნები იგეგმებოდა და ვინაიდან ამერიკელებს სურდათ იაპონელებს თავად გაეკეთებინათ არჩევანი საკუთარი ხელისუფლების შექმნისას, მაკარტურს სურდა ხალხს გაეაზრებინა ახალი კონსტიტუცია, ახალი შესაძლებლობები და შესაბამისად საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ არჩევნებზე.

ახალი კონსტიტუციით ხმის უფლება მიეცათ ქალებსაც და არჩევნებში მისაღები ლეგიტიმური ასაკის ზღვარმაც დაიწია. შედეგად გაჩნდა მეტი ამომრჩეველი და უფრო მეტ მოქალაქეს მიეცა საკუთარი ხმის გამოყენების შესაძლებლობა.

ახალი კონსტიტუციით გათავისუფლდნენ კომუნისტებიც და კენჭის ყრის საშუალებაც მიეცათ. შედეგად ლიბერალურმა პარტიამ დაიკავა 140 ადგილი, პროგრესორებმა - 64,

სოციალისტებმა - 92 და კომუნისტურმა პარტიამ მხოლოდ 5. არჩეული პარტიებიდან მხოლოდ კომუნისტები არ უჭერდნენ მხარს საიმპერატორო ტახტის არსებობას[12].

როგროც შიგერუ ამბობს, საიმპერატორო ტახტის არსებობა გამოიხატა ხალხში, ისევე როგორც სახელმწიფოს წარმოადგენს ხალხი. რომ ვერ დადგება რაიმე ანტაგონიზმის საკითხი საიმპერატორო ტახტსა და ხალხს შორის. კონსტიტუციაში კი სიტყვა „სიმბოლოს“ ჩამატება, სადაც იმპერატორი აღიქმება, როგორც სიმბოლო სახელმწიფოსი და ხალხის ერთიანობა, არ უნდა იყოს გასაკვირი და შიგერუს აზრით ეს კონსტიტუციასაც არ ცვლის, რადგან იმპერატორი არსებობის დასაბამიდან სწორედ ხალხისა და სახელმწიფოს სიმბოლოს და მათ ნებას გამოხატავდა და არასოდრეს ყოფილა ავტორიტარული მმართველი[13].

შიგერუ ომის უარყოფასაც და სრულ განაიარაღებასაც ემხრობა. მისი თქმით, ხშირად მომხდარა ისე, რომ შენარჩუნებული თავდაცვის უფლებით ცუდად უსარგებლიათ სახელმწიფოებს და ხშირად ამას ცუდი შედეგები მოჰყოლია. ამიტომაც მიესალმება იაპონიის პაციფისტურ განწყობას.

რაც შეეხება კონსტიტუციის ესე საჩქაროდ და მეტად სტრესულ გარემოებებში მიღებას, აღნიშნავს, რომ მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუცია სწორედ ასეთ პირობებში შეიქმნა, რადგან მშვიდობიან პერიოდში ამის საჭიროებები არ დგება.

ბევრი მიიჩნევს, რომ კონსტიტუცია, რომელიც 1947 წლის 3 მაისს შევიდა ძალაში, იაპონელ ხალხზე ამერიკელების მიერ იყო თავს მოხვეული და ძალდატანებული. შიგერუ ამასაც აბათილებს იმ ფაქტის მოყვანით, რომ მაკარტურისაგან მიიღო წერილი, რომელშიც გენერალი წერდა, რომ იაპონიის მთავრობას შეეძლო გამოეყენებინა იმდენი დრო, რამდენიც დაჭირდებოდა შაბლონის გასააზრებლად და შეეძლოთ შეეტანათ

12. [12] **Yoshida, Shigeru.** The Story of Japan in Crisis. Great Britain, The Windmill Press LTD, 1961, გვ. 138.

13. [13] **Yoshida, Shigeru.** The Story of Japan in Crisis. Great Britain, The Windmill Press LTD, 1961, გვ. 139.

ყველა ცვლილება რასაც საჭიროდ ჩათვლიდნენ. და ასევე, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის ქონდათ მისი გადახედვის უფლება.

ამდენად ჩანს, რომ იოშიდა შიგერუ საკმაოდ კარგად არის განწყობილი ამერიკელების მიერ განხორციელებული ცვლილებების მიმართ. იკვეთება გარკვეული შიშებიც და უკმაყოფილებებიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში გვაქვს სრული თანხვედრა. შეიძლება ასეთი დამყოლობა გამოწვეული იყო დამარცხებულის პოზიციაში ყოფნიდან გამომდინარეც, მაგრამ ასევე ჩანს რომ შიგერუ იზიარებს დემოკრატიულ ტენდენციებსაც, რომლებიც მისი აზრით იაპონიაში ამერიკელების გამოჩენამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ მეიჯის ხანაში ჩაისახა.

თავი IV. ქალთა უფლებები

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე, მეიჯის პერიოში, დამკვიდრდა „კარგი ცოლისა და ჭკვიანი დედის“ ხატი. ქალის, რომელიც ერთ დროს წამყვან როლს ასრულებდა იაპონიის კულტურისა და თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში (მნიშვნელოვანი თხზულებების ავტორებად სწორებ ქალები გვევლინებიან. აღსანიშნავია მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი რომანის, XI საუკუნის დასაწყისში დაწერილი გენჯიმონოგატარის (ამბავი უფლისწული გენჯის შესახებ) ავტორი მურასაკი შიკიბუ), მთავარ საქმოანობად ითვლებოდა დიასახლისობა და შვილებზე ზრუნვა. ამ იდეოლოგიას ფართოდ უნერგავდნენ გოგონებს სკოლებში და სახელმწიფოც შესაბამის პოლიტიკას ატარებდა. იაპონური ოჯახი სამურაის პატრიარქალურ ოჯახს გავდა, სადაც ოჯახის თავი, ჩვეულებრივ იყო უფროსი ვაჟი, რომელსაც ჰქონდა გადაჭარბებული უფლებები და პასუხისმგებლობები. ოჯახის უფროსი აკონტროლებდა და განაგებდა კერძო საკუთრებასა და შემოსავლებს. ქალს არ ქონდა ქონების უფლება და გათხოვების

შემდგომ მის საკუთრებაში არსებული რესურსები ქმრის კუთვნილებაში გადადიოდა. ქალს არ ეძლეოდა დაოჯახების უფლება 25 წელს ქვემოთ მშობლების თანხმობის გარეშე, მამაკაცებს კი 30 წელს ქვემოთ. ვინაიდან ოჯახის თავს შეიძლება უარი ეთქვა ქალის სახელის დარეგისტრირებაზე ოჯახის წევრთა სიაში, ქორწინება ზოგჯერ იყო არა ქალისა და მამაკაცის უერთიერთშეთანხმებული კავშირი, არამედ უბრალოდ ქალის გადაცემა მამაკაცისთვის. დაშორებაც რთული პროცესი იყო, მეურვეობა კი მამას რჩებოდა. ღალატი დანაშაულად ითვლებოდა, მაგრამ მხოლოდ ქალისთვის. ამდენად ქალს ეპყრობოდნენ როგორც ნივთს და იგი არ ფლობდა თითქმის არავითარ უფლებას[14].

ომამდელ პერიოდში გოგონებს ამზადებდნენ მათი შემდგომი ვალდებულებების შესასრულებალდ, რაც აუცილებლად იყო ცოლისა და დედის ფუნქციები. ყველაფერი ქალის ირგვლივ ამ იდეის, „კარგი ცოლი, ჭკვიანი დედა“ ირგვლივ ვითარდებოდა და ფართოდ იყო დამკვიდრებული საზოგადოებაში. გოგონათა განათლებაც მიმართული იყო კარგი დიასახლისის ჩამოყალიბებაზე და მათ ჩვეულებრივ ასწავლიდნენ ჭრა-კერვას, ყვავილების მოვლა-განლაგებას, ჩაის ცერემონიას, ეტიკეტსა და მანერებს. გავრცელებული მოსაზრებით, მამაკაცის სახლის გარეთ, ანაზღაურებადი ხელფასით ცდილობდა ოჯახზე ზრუნვას და გამოკვებას. ქალის მოვალეობა კი რჩებოდა სახლში და გამოიხატებოდა საშინაო საქმეების შესრულებისა და ბავშვების აღზრდაში. ამდენად, ომამდელ და ომის შემდგომ პერიოდში მკაცრად იყო განსაზღვრული და გამიჯნული მოვალეობები და ფუნქციები სქესის მიხედვით.

რასაკვირველია, ამ ყველაფერს ჯერ კიდევ 1920-იან წლებში მოყვა ფემინიზმის განვითარება იაპონიაში. მაგრამ საკმაოდ საინტერესო და განსხვავებულია იაპონური ფემინიზმი ომამდე და ომის შემდგომაც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ტრიალებდა „კარგი ცოლი, ჭკვიანი დედის“ იდეის ირგვლივ. თუმცა ეს მოძრაობაც დიდი წნეხის ქვეშ მოექცა და 1931 წელს მანჯურიის ინციდენტის შემდგომ საერთოდ ფემინიზმი და ქალების

14. [14] **Theodore de Bary, Carol Gluck, ArThur E. Tiedemann.** Sources of Japanese Tradition, Volume2, Part 2. New York, Colombia University Press, 2006, გვ. 338.

მიერ არჩევნებში ხმის უფლების მოთხოვნა არაიაპონურად და არაპატრიოტულად გამოცხადდა[15].

ომის შემდგომ ადრეულ პერიოდში, როდესაც იაპონიას განაგებს ამერიკული ხელისუფლება, კვლავ ჩნდება ქალთა მოძრაობები ფემინისტური სულისკვეთებით, თუმცა ისევ იგივე იდეოლოგიის ირგვლივ გაერთიანებული. ქალთა მოძრაობები აყენებდა მოთხოვნებს ქალის, როგორც ცოლის და უფრო მეტად დედის სტატუსიდან გამომდინარე, რომელსაც სურს მიიღოს შესაბამისი სამედიცინო უზრუნველყოფა დედის (და არა როგორც ინდივიდუალურად ქალის) ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, რომ დაცული იყოს მისი ოჯახი, გამოდიან უმუშევრობის, ომის და ძველი ტრადიციული ტიპის ოჯახის წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოფილი იყოს შვილების თანაბარუფლებიანი განათლება და ბედნიერება. ამდენად, თავდაპირველი იაპონური ფემინიზმი საკმაოდ განსხვავდება თანამედროვე ხედვისგან.

1947 წელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო სწორედ ქალის როლის წინ წამოწევა და ყოველი მოქალაქისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება კანონის წინაშე. კონსტიტუციაში ამ ცვლილებების შეტანას სწორედ ქალი, ბეატე სიროტა გორდონი ხელმძღვანელობდა. განხორციელებული ცვლილებები უსწრებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ კონსტიტუციასაც კი. ბეატე იხსენებს, რომ მას შემდეგ, რაც გამოუცხადეს, რომ ახლა ის იყო საკანონმდებლო ასამბლეის წევრი და რომ კონსტიტუციის შაბლონი 6 დღეში უნდა შეემუშავებინათ, იგი ეწვია ბიბლიოთეკებს და გამოიტანა იმდენი კონსტიტუცია, რამდენიც შეეძლო. ასამბლეის წევრებს საკანონმდებლო საქმიანობის გამოცდილება არ ქონდათ და იაპონიასაც მხოლოდ ბეატე იცნობდა ყველაზე კარგად ტოკიოში ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე. ამდენად შეაგროვეს 10-12 კონსტიტუცია, რათა ჰქონოდათ პროტოტიპი, რომლის მიხედვითაც იმუშავებდნენ. თანაც ეს იყო გასაიდუმლოებული მისია, ამიტომ სიფრთხილის გამო ბეატემ ვერ შეძლო ბიბლიოთეკებიდან ყველა კონსტიტუციის გამოტანა ეჭვების

15. [15] **Gordon, Andrew.** Postwar Japan as History. London, University of California Press, 1993, გვ. 302.

თავიდან ასარიდებლად. მან დაიწყო ქალთა უფლებებზე მუშაობა და აღმოაჩინა, რომ ქალებს უფლებები იაპონიაში თითქმის არ ქონდათ. ამიტომ ახალ კონსტიტუციაში შეიტანა მთელი რიგი ძალზედ სპეციფიკური უფლებებისა, რომლებიც ასევე მოიცავდა ქორწინებას, პრენატარულ ზრუნვას, დეკრეტული შვებულების უფლებას და ბევრ კანონს ქალთა უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც ამერიკის კონსტიტუციაშიც კი არ გვხვდებოდა. ამიტომ, როდესაც ადამიანთა უფლებების შესახებ მომზადებული შაბლონი პირველად წარადგინა განსახილველად ჯერ ამერიკელების წინაშე, რომელიც სრულად მამაკაცებით იყო დაკომპლექტებული, მისმა პროგრესულობამ ამერიკელ თანამშრომლებშიც კი დიდი შეაშფოთება გამოიწვია. ბეატეს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა და კამათში ჩაბმა და კონსტიტუციის მის მიერ შექმნილი ნაწილის დაცვა მოუხდა, რომელიც საბოლოოდ გარკვეული ცვლილებებით დამტკიცდა. გასაკვირი არაა, თუმცა სამწუხაროა, რომ „დემოკრატიის შუქურაც“, სახელმწიფო, რომელიც უხეშად ერევა სხვა სახელმწიფოს სისტემაში და მასში ცვლილებების განხორციელების ღირსად მიიჩნევს თავს, არ არის სრულყოფილი. თუმცა მნიშვნელოვანი და სასიკეთო ცვლილებები მაინც განხორციელდა:

მუხლი 13. ყველა ადამიანს, როგორც პიროვნებას, უნდა მიეგოს პატივი - მათ უფლებას, იცოცხლონ, იყვნენ თავისუფალნი და ეძიონ ბედნიერება, თუკი ეს ხელს არ უშლის საზოგადოებრივ კეთილდღეობას, უნდა ენიჭებოდეს უზენაესი მნიშვნელობა კანონმდებლობასა და სხვა სამთავრობო საქმეებში.

მუხლი 24. ქორწინება დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ ორივე სქესის თანხმობაზე და მისი შენარჩუნება უნდა მოხდეს ორმხრივი თანამშრომლობით, რისი საფუძველიც იქნება ქმრისა და ცოლის თანაბარი უფლებები. რაც შეეხება მეუღლის არჩევას, საკუთრების უფლებებს, მემკვიდრეობას, საცხოვრებელი ადგილის არჩევას, გაყრას და ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, კანონები ძალაში უნდა შევიდეს პიროვნული ღირსებისა და სქესთა შორის უცილობელი თანასწორობის გათვალისწინებით.

ამიერიდან კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორი გახდა. ქორწინების ასაკი მამაკაცებისთვის 18, ქალებისთვის კი 16 წლამდე დავიდა. ქალებს მიენიჭათ ხმის და პოლიტიკაში უშუალოდ ჩართვის უფლება.

თუმცა ერთია ქაღალდზე ასახული უფლებები და მეორე მათი ცხოვრებაში განხორციელება. მთავრობა კვლავ საკმაოდ აქტიურად უსვამდა ხაზს ქალის, როგორც დიასახლისის როლს და მნიშვნელობას ქვეყნის ცხოვრებაში. ამდენად ქალების ცხოვრებაზე დასალვური გავლენა მაინცდამაინც არ ასახული. თუმცა ასევე აღსანიშნია, რომ სიტყვის თავისუფლების მინიჭებამ ფართოდ გაუხსნა გზა იაპონიაში ქალთა მოძრაობებს და ფემინიზმის კიდევ უფრო განვითარებას. ფემინიზმიც დიდი ხნის განმავლობაში ტრიალებდა დიასახლისისა და დედის ირგვლივ და ცდილობდა მისი უფლებების დაცვას და ფუნქციების გაფართოებას სახლის გარეთ. მხოლოდ 1970-იან წლებში გამოიკვეთა ფემინისტური მოწოდებები ქალის, როგორც ქალის და არა დედის ან ცოლის უფლებების დასაცავად. 1970 წლიდან ფემინისტური ქალთა დაჯგუფებები უკვე პირდაპირ უტევს ოჯახის იდეას, კორპორაციების დისკრიმინაციულ პოლიტიკას და სახელმწიფოს ქალთა როლის დამახინჯების გამო. ჩნდება განცხადებები არჩევანის თავისუფლების შესახებ. დედობა ქალის მოწოდება და გარდაუვალი მდგომარეობა არ არის, ქალმა თავად უნდა აირჩიოს გახდება თუ არა ის ცოლი ან დედა. იწყება ახალი მოთხოვნები და პროტესტი აბორტის დეკრიმინალიზაციისათვის, ჩასახვის საწინააღმდეგო აბებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, ქალთა უფლებების კიდევ უფრო მეტად გასათანაბრებლად სამუშაო ადგილებზე და ქალების მამაკაცებზე ეკონომიკურად დამოკიდებულების შესამცირებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა რეპროდუქცია აბორტისა და კონტრაცეპტიული აბების აკრძალვით გამოწვეული იყო იაპონიაში ომის შემდგომ გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობით. ამდენად, ქალის უპირველეს მიზნად სახავდნენ შვილების გაჩენას და მათ აღზრდას. თუმცა ეს იყო საკმაოდ უხეში ჩარევა ქალის პირად ცხოვრებაში. ხოლო როცა იაპონიაში დადგა მძლავრი ინდუსტრიალიზაციის პერიოდი და გაჩნდა მუშახელის დიდი მოთხოვნა, რომელსაც მხოლოდ კაცები ვერ აკმაყოფილებდნენ, სახელმწიფომ

წაახალისა ქალის ჩართვაც ინდუსტრიულ საქმიანობაში, მაგრამ ნაკლებ ანაზღაურებად და ძირითადად ნახევარ-განაკვეთურ პოზიციებზე. ისე რომ ქალს საშინაო საქმეებში ხელი არ შეშლოდა. ამდენად, სახელმწიფომ დროებით ითხოვა საშვილოსნოები ეკონომიკის გასაძლიერებლად.

1970-1980-იან წლებში ჩნდება უფრო რადიკალური განცხადებები. მებრძოლ ქალთა გუნდის წამყვანი ფიგურა ტანაკა მიცუ სვამს მნიშვნელოვან კითხვებს, როგორიცაა: „შეუძლია ქალს იცხოვროს როგორც ცოლმა, როგორც დედამ, მაგრამ იმავე დროს არ ცხოვრობდეს როგორც ქალი?“[16]. მეცნიერი, პოეტი და ჟურნალ „ფემინისტის“ დამაარსებელი აცუმი იკუკო კი ფიქრობს, რომ ქალებს უფრო მეტი თავისუფლება უნდა ქონდეთ ცხოვრებისეულ თუ კარიერულ არჩევანში. მამაკაცების როლი სახლს გარეთ მუშაობით განისაზღვრება, ქალის ფუნქციები კი საშინაო საქმეებით შემოიფარგლება. აცუმი იმედოვნებს, რომ ქალებისა და მამაკაცების როლები არ იქნება ასეთი გამიჯნული და ისინი თანაბრად აირევა ერთმანეთში. თუკი ქალის სურვილი იქნება დიასახლისობა, მას უნდა ქონდეს ამ სურვილის განხორციელების შესაძლებლობა. მაგრამ თუკი მას სურს მუშაობა და კარიერის შექმნა, არც ამაში უნდა ქონდეს წინაღობა. იგი აგრეთვე ამბობს, რომ მუდმივობა, ლოგიკურობა, პასუხისმგებლობა, დაგეგმვის უნარი და ლიდერობა ყოველთვის მამაკაცურ თვისებებად აღიქმება. მგრძნობიარობა, ალტრუისტული სიყვარული, აღზრდის უნარები და კეთილგანწყობილება კი ქალებს მიეწერება. ის იმედოვნებს, რომ XXI საუკუნეში ეს თვისებები აღარ იქნება ერთმანეთისაგან გარჩევადი სქესის მიხედვით[17].

ასევე გაჟღერდა იდეა მუდმივად დაკავებული კაცების მიერ თვეში 4 დღიანი შვებულების აღებაზე მაინც, რათა ისინი უფრო მეტად იყვნენ ჩართული საოჯახო საქმეებში, ბავშვების აღზრდაში, რაც ქალებსაც გამოუთავისუფლებს დროს და დაეხმარება არასაშინაო ინტერესების დაკმაყოფილებასა და მიზნების მიღწევაში.

---

16. [16] **Gordon, Andrew.** Postwar Japan as History. London, University of California Press, 1993, გვ. 314.

17. [17] **Gordon, Andrew.** Postwar Japan as History. London, University of California Press, 1993, გვ. 314.

მიუხედავად ამერიკული საოკუპაციო ხელისუფლებისა და მზარდი ფემინისტური აქტივიზმისა, დღესაც იაპონიაში ქალები ვერ სარგებლობენ თანაბარი უფლებებით სამუშაო ადგილებზე. დიდია სხვაობა ქალისა და მამაკაცის ხელფასებს შორის და დამოკიდებულება ხშირად იმდენად დამამცირებელია ქალების მიმართ, რომ მათ დიდი დაბრკოლებებისა და სტერეოტიპების გადალახვა უწევთ წარმატების მისაღწევად. მაგალითად რთულია დიდ ფირმებში მნიშვნელოვანი პოზიციის მოპოვება, რადგან მიუხედავად იმისა დამაკმაყოფილებელია თუ არა მათი კვალიფიკაცია ითვალისწინებენ ქალის მომავალ შესაძლო დედობას, რასაც მოყვება დეკრეტული შვებულება.

2015 წელს მიღებული კანონით დაქორწინებულმა წყვილებმა ერთი გვარი უნდა ატარონ, რაც ზოგიერთ წყვილში უკმაყოფილებას იწვევს და პრობლემებს ქმნის შვილის რეესტრში გატარებისას. აღსანიშნავია აგრეთვე ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტის ბოლო დროინდელი სკანდალი, სადაც მისაღები გამოცდების ბარიერი აწიეს გოგონების მიღების ასარიდებლად. ეს კი იმით ახსნეს, რომ ხშირად გოგონები დაოჯახების და შვილების გაჩენის შემდეგ სამსახურს ტოვებენ. ამიტომ მამრ სტუდენტებს ანიჭებენ უპირატესობას[18].

1990 წელს ეკონომიკური დაგეგმარების დირექტორმა აიზავა ჰიდეუკიმ გამოხატა დიდი სურვილი ქალებს რასობრივი და ეროვნული ინტერესები პირად სიამოვნებებზე მაღლა დაეყენებინათ და ყოლოდათ დიდი ოჯახები. დღესაც ქალის მთავარ მოვალეობად დიასახლისობა და შვილების აღზრდა მიიჩნევა. დიდია დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე, არათანაბარია ხელფასები. თუმცა აგრეთვე საგულისხმოა, რომ შობადობის რიცხვი იაპონიაში დრამატულად იწევს ქვემოთ. 2016 წელს მისი მაჩვენებელი რეკორდულად დაბალი იყო, იგი პირველად დავიდა მილიონს ქვემოთ[19]. აშკარაა, რომ ბევრი ქალი

18. [18] **Kajima, Kaori.** Dividing the Sexes: The Modern Evolution of Japanese Gender Roles in Marriage. https://www.nippon.com/en/features/c05604/dividing-the-sexes-the-modern-evolution-of-japanese-gender-roles-in-marriage.html?fbclid=IwAR0Uc2W-yLW-w6c4Y78NaLr7D9HGwdFX_0ooasS_uVqf0seI6RWxawi86RI.

19. [19] **Kajima, Kaori.** Dividing the Sexes: The Modern Evolution of Japanese Gender Roles in Marriage. https://www.nippon.com/en/features/c05604/dividing-the-sexes-the-modern-evolution-of-japanese-gender-roles-in-marriage.html?fbclid=IwAR0Uc2W-yLW-w6c4Y78NaLr7D9HGwdFX_0ooasS_uVqf0seI6RWxawi86RI.

ამბობს უარს დედობისა და დიასახლისის არჩევანზე. თუმცა შობადობის დაბალი მაჩვენებელი სხვა მრავალი ფაქტორითაც არის გამოწვეული, რაც უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს სამომავლო კვლევებში. შეიძლება ითქვას არც ერთი განვითარებული ქვეყანა არ არის ისე ჩამორჩენილი ქალთა უფლებების საკითხში, როგორც იაპონიაა. აქ დასავლურ დემოკრატიას დიდი წინაღობა შეხვდა ქალის აღქმის ტრადიციული გაგების სახით.

თავი V. ამერიკული ოკუპაციის მიერ გატარებული ცვლილებების შედეგები

ამერიკული ოკუპაციური მმართველობის გაცხადებული მიზნები იაპონიაში იყო აზროვნების შეცვლა, მშვიდობის დამყარება, დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია. ამის მისაღწევად ამერიკამ რიგი ცვლილებები განახორციელა. დემილიტარიზაციამ გამოიწვია იაპონიის უსაფრთხოების დამოკიდებულება ამერიკაზე და იაპონიის მოდუნება საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. უმეტეს შემთხვევაში იაპონია გვევლინება ამერიკის ინტერესების მხარდამჭერად და გამტარებლად აზიის რეგიონში. მაგრამ როდესაც სანფრანცისკოს კონფერენციის შემდეგ დასრულდა გაერთიენბული ძალების მიერ იაპონიის ოკუპაცია და იგი გათავისუფლდა ამერიკის პირდაპირი გავლენისგან, იაპონია იძულებულია დამოუკიდებლად აწარმოოს საგარეო ურთიერთობები. აქ კი კარგად ჩანს ის, რომ იაპონიაა მეტადაა გართული შიდა პრობლემებით და საგარეო პოლიტიკაში ცდილობს ნეიტრალური სიჩუმე შეინარჩუნოს ზედმეტი პრობლემების თავიდან ასაცილებლად. ჩინეთსა და კორეასთან მიმართებაში კი ამერიკას ეს არ აწყობს. მალე ამერიკა მოუწოდებს იაპონიას თავად იზრუნოს თავდაცვაზე. ამერიკის მოტივი აქ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირისგან მომავალი საფრთხის წინაშე მარტო არ მოუწიოს გამკლავება. იაპონია კი ძალიან ნელა იღდგენს სამხედრო ძალებს, რადგან ამ დროისათვის მისთვის პრიორიეტული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაა. მალე ეკონომიკურად მოძლიერებულ იაპონიაში კი ამერიკა უკვე ძლიერ კონკურენტს ხედავს და ცდილობს შეაღწიოს და დამკვიდრდეს იაპონიის შეუვალ შიდა ბაზარზე. ვიეტნამის კონფლიქტი კიდევ უფრო ძაბავს იაპონია-ამერიკის ურთიერთობებს, თუმცა ისინი კვლავაც რჩებიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სავაჭრო პარტნიორებად, რაც საერთაშორისო მდგომარეობით და უკვე კარგად აწყობილი საბაზრო ურთიერთობებით არის გამოწვეული.

ამერიკულმა ოკუპაციამ შეიძლება ითქვას იაპონია დემოკრატიზაციის გზაზე დააბრუნა, კვლავ შეიტანა დასავლური ღირებულებები და ხელი შეუწყო იაპონიის ეკონომიკურ

წინსვლასა და განვითარებული ქვეყნების სიაში მოხვედრას. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ამერიკამ გადაარჩინა იაპონია გაწითლებას. ამერიკამ კი იაპონიის სახით მნიშვნელოვანი პარტნიორი შეიძინა აზიის რეგიონში.

5.1. იაპონია დღეს

დღეისათვის იაპონიის წამყვან პარტიას წარმოადგენს ლიბერალურ დემოკრატიული პარტია. პრემიერ მინისტრად კი პარტიის პრეზიდენტი შინძო აბე გვევლინება. მისი დამოკიდებულება ამერიკის მიმართ არაერთგვაროვანია და სამმართველო ვადის განმავლობაში ფიქრობს 1947 წელს მიღებული კონსტიტუციის გადახედვასა და შეცვლას, რადგან იგი იაპონელების მიერ არ არის შედგენილი, თანაც რეკორდულად მცირე დროშია ჩამოყალიბებული. საინტერესოა აბეს დამოკიდებულება იმპერატორის მიმართაც, რომელიც უფრო ლოიალურია ამერიკის მიმართ. შესაძლოა ეს გამოწვეული იყოს თავის დროზე ამერიკის მიერ იმპერატორის პოზიციის შენარჩუნებით. რაც არ უნდა იყოს, ყოფილი იმპერატორ აკიჰიტოსთვის კონსტიტუცია სრულიად მისაღებია. საინტერესო იყო მისი მოთხოვნა გადადგომის შესახებ, რომელიც წლობით გაჭიანურდა აბეს წინააღმდეგობის გამო. ვინაიდან დიდი ხნის განმავლობაში არ იბადებოდა ვაჟი საიმპერატორო ოჯახში, რომელიც იქნებოდა დინასტიის მემკვიდრე, რადგან საიმპერატორო წოდება სწორედ ვაჟზე გადადის მემკვიდრეობით, იმპერატორმა ითხოვა კანონში ცვლილების შეტანა. ის ითხოვდა განხილულიყო მემკვიდრეობითობის ქალზე გადაცემა, რათა არ შეწყვეტილიყო საიმპერატორო ხაზი. შეთავაზება განხილვას დაექვემდებარა, მაგრამ პრემიერ მინისტრი იმთავითვე წინააღმდეგი გამოვიდა ტრადიციების ასეთი შელახვისა. ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს დაიბადა ვაჟი იმპერატორის ოჯახში, რეფორმის განხილვა მიივიწყეს და კარადის თავზე შემოდეს. იმპერატორმაც საბოლოოდ საწადელს განცხადების პირდაპირ საზოგადოდ გამოქვეყნებით მიაღწია. ვიდეო მიმართვის ჩაწერის შემდგომ, სადაც აცხადებდა, რომ აღარ შეეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საიმპერატორო მოვალეობების შესრულება საბოლოოდ დასრულდა ჰეივას ანუ მშვიდობის პერიოდი და ახლი იმპერატორის მოსვლით იაპონიაში ახალი პერიოდი დაიწყო.

დღეისათვის იაპონიაში ვითარება, შეიძლება ითქვას, დაძაბულია. ერთ დროს ეკონომიკური ლიდერი ახლა დაღმასვლას განიცდის და ადგილს უთმობს მის

მეზობლებს, რომლებთანაც არც თუ ისე კარგი წარსული აკავშირებს. შესაძლოა პრემიერ მინისტრი კვლავ ესწრაფვის იაპონიის დამოუკიდებელ ძლიერებას. ასევე კვლავ აშკარაა ქალთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რაც აბეს მიერ ქალი იმპერატორის მტკიცე უარყოფაში გამოიკვეთა.

დასკვნა

მეორე მსოფლიო ომმა მეტად ამბიციური იაპონია საკმაოდ დააზარალა და განადგურების პირას მიიყვანა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სასჯელის ნაცვლად ამერიკა მას მხსნელად მოევლინა, რომელიც იაპონიაში ხედავდა მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორს და, აგრეთვე მოკავშირეს აზიის რეგიონიდან მომავალი შესაძლო გასაბჭოების საფრთხის თავიდან ასარიდებლად. ამიტომაც ამერიკამ საოკუპაციო ძალაუფლება მეტწილად იაპონიის დახმარებასა და კვლავ ფეხზე დაყენებისკენ მიმართა. გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები დემოკრატიის გავრცელების, ფეოდალიზმის აღმოფხვრის, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დამკვიდრებისა და პატივისცემის, ქალთა უფლებების გათანაბრებისათვის. მრავალ სფეროში ამერიკელმა სპეციალისტებმა, თუმც ნაკლებად განსწავლულებმა იაპონიის სპეციფიურობაში, წარმატებებს მიაღწიეს. საბოლოოდ აღმოიფხვრა ფეოდალიზმი და მოდერნიზდა სასოფლო მეურნეობა, აიკრძალა ცენზურა და დამკვიდრდა სიტყვის თავისუფლება. წარმატებით განხორციელდა კულტურული ასიმილაციაც. მსგავს წარმატებებს ვერ მიაღწია ამერიკამ ეკონომიკის სფეროში, სადაც ინდუსტრიული დეცენტრალიზაციის გეგმამ სავალალო შედეგები გამოიღო და ისევ იაპონელი სპეციალისტების ჩართვით დაადგა აღმასვლის გზას. რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ იყო „იაპონური სასწაულის“ მიზეზი. ამ ყველაფერს თან ახლდა საშინაო და საგარეო გარემოებებიც. საშინაო პოლიტიკაში ეს იყო გაუქმებული სამხედრო სფერო, რამაც გამოათავისუფლა ხარჯების დიდი ნაწილი და შესაძლებელი გახადა ეს ფინანსები უფრო მნიშვნელოვანი სფეროს გაუმჯობესებას მოხმარებოდა. გარეშე ფაქტორი კი იყო ამერიკის კონფლიქტები აზიის რეგიონში, სადაც სამხედრო რესურებს იაპონიისგან იღებდა, რამაც გამოიწვია ინდუსტრიის სამხედრო სფეროს აღდგენა იაპონიაში. გადაიხედა ქალის როლიც იაპონიის ცხოვრებაშიც და კონსტიტუციურად თანაბარი უფლებები მიენიჭა კანონის წინაშე, ასევე ხმის უფლება და პოლიტიკაში ჩართვის საშუალება მიენიჭა. საქორწინო ურთიერთობებშიც გაუთანაბრდა მამაკაცს და მიიღო ქონების მართვის უფლება. თუმცა მეტწილად ქალის როლი

იაპონიაში დღესაც დიასახლისობასთან ასოცირდება და განსხვავებული პოზიციების მოსაპოვებლად ბევრი დაბრკოლების გადალახვა უწევთ. კვლავაც დომინირებს „კარგი ცოლი, ჭკვიანი დედის“ ხატი. იაპონია-ამერიკის ურთიერთობები „ლაღად“ არ მიმდინარეობს, მაგრამ ისინი დღესაც წარმოადგენენ მნიშვნელოვან პარტნიორებს სავაჭრო თუ პოლიტიკურ საკითხებში.

დღეისათვის ისეთი განცდა იქმნება, რომ იაპონია უკმაყოფილოა წარსულით და ცდილობს მის გამოსწორებას. სახეზეა ახალი იმპერატორიც, რომელმაც შეიძლება საინტერესო როლი ითამაშოს იაპონიის მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Akira Iriye, Warren I. Cohen.** The United States and Japan in the Postwar World. Kentucky, The University Press of Kentucky, 1989.

2. **გელაშვილი, ნანა.** იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში. თბილისი, უნივერსალი, 2012.

3. **Gordon, Andrew.** Postwar Japan as History. London, University of California Press, 1993.

4. **Theodore de Bary, Carol Gluck, ArThur E. Tiedemann.** Sources of Japanese Tradition, Volume2, Part 2. New York, Colombia University Press, 2006.

5. **პაპასქირი, თეიმურაზ.** The Japanese Question at the Potsdam Conference. -*დიალოგი საქართველოსა და იაპონიას შორის.* ***ნანა გელაშვილი, მიცუიოში ნუმანო.*** ტოკიო, ტოკიოს უნივერსიტეტი, 2018, გვ. 71.

6. **Jansen, B. Marius.** The Making of Modern Japan. United States of America, Harvard UniversiTy Press, 2002.

დოკუმენტები

7. იაპონიის კონსტიტუცია

https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Constitution%20of%20Japan.pdf

ვიდეო მასალები:

8. *Japan Under American Occupation.* **David C. Taylor.** History Channel.

9. *The Pacific Century – Reinventing Japan.* **Alex Gibney.** Jigsaw Productions, 1992.

მემუარები

10. **Yoshida, Shigeru.** The Story of Japan in Crisis. Great Britain, The Windmill Press LTD, 1961.

ელექტრონული სტატიები:

11. **Takahashi Kōichirō.** The Future of Japan's Dwindling Imperial Family. https://www.nippon.com/en/currents/d00129/the-future-of-japan%e2%80%99s-dwindling-imperial-family.html?cx_recs_click=true.
12. **Takenaka, Harukata.** Reforms and Results: A Look at Abe's Staying Power as Prime Minister. https://www.nippon.com/en/in-depth/a06201/reforms-and-results-a-look-at-abe%e2%80%99s-staying-power-as-prime-minister.html?pnum=2.
13. **Yamaguchi, Kazuomi.** The Emperor and Prime Minister Abe: A Decade of Crossed Wires. https://www.nippon.com/en/japan-topics/c06110/the-emperor-and-prime-minister-abe-a-decade-of-crossed-wires.html?cx_recs_click=true.
14. **Kawaguchi, Akira.** Japanese Women Face Tough Reality in Work and Marriage. https://www.nippon.com/en/in-depth/a04601/japanese-women-face-tough-reality-in-work-and-marriage.html?cx_recs_click=true.
15. **Kajima, Kaori.** Dividing the Sexes: The Modern Evolution of Japanese Gender Roles in Marriage. https://www.nippon.com/en/features/c05604/dividing-the-sexes-the-modern-evolution-of-japanese-gender-roles-in-marriage.html?fbclid=IwAR0Uc2W-yLW-w6c4Y78NaLr7D9HGwdFX_0ooasS_uVqf0seI6RWxawi86RI.
16. **Masuda, Miki.** Meet the New Imperial Family. https://www.nippon.com/en/japan-topics/c06105/meet-the-new-imperial-family.html?cx_recs_click=true.

17. **Murai, Ryota.** The Rise and Fall of Taishō Democracy: Party Politics in Early-Twentieth-Century Japan. https://www.nippon.com/en/in-depth/a03302/the-rise-and-fall-of-taisho-democracy-party-politics-in-early-twentieth-century-japan.html?fbclid=IwAR1y6W4lOxRmcG9nCItBAg4XHxtuuw81HZuxeg9yXeQb0GfkJiwXNCq3wYA.
18. **Okajima Kaori.** Dividing the Sexes: The Modern Evolution of Japanese Gender Roles in Marriage. https://www.nippon.com/en/features/c05604/dividing-the-sexes-the-modern-evolution-of-japanese-gender-roles-in-marriage.html?fbclid=IwAR0Uc2W-yLW-w6c4Y78NaLr7D9HGwdFX_0ooasS_uVqf0seI6RWxawi86RI.
19. **Saitō Katsuhisa.** Issues Facing Japan's New Emperor at the Start of the Reiwa Era. https://www.nippon.com/en/japan-topics/c06104/issues-facing-japan%e2%80%99s-new-emperor-at-the-start-of-the-reiwa-era.html?cx_recs_click=true.
20. **Fujino, Kiyomitsu.** Japan Politics in 2019: Challenges Ahead for Prime Minister Abe in the Year of the Boar. https://www.nippon.com/en/currents/d00459/japan-politics-in-2019-challenges-ahead-for-prime-minister-abe-in-the-year-of-the-boar.html?cx_recs_click=true.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

MA Program in Modern and Contemporary History

Sharadze Salome

Western Influence on Post-war Japan

The thesis is prepared for obtaining Master's academic degree in History

Supervisor: Doctor of Social Sciences Mrs. Sopio Gugunava

Tbilisi

2019